პროლეტარები ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე.

ს. ს. ს. რ.

კომუნისტი

ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მატრ. დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთველის პროსპექტი № 24, მეორე სართული.

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთველის პრ. № 24, ტელეფონი 14 76.

ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—11.000.000 მ ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—11.500.000 მან. კოლექტ. ხელის მოწ. 8.000.000 მ. განცხადება 15 კ. ჩერვონცებით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მან. ჩერვონცებით.

№ 247 პარასკევი, 26 ოქტომბერი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 400.000 მ ნ. № 247

დღიური

— ჰამბურგში ბრძოლა სასტიკ ხასიათს ღებულობს; ქუჩებში ამართულია ბარიკადები.

— ჰამბურგიდან აჯანყება მოედო ბრემენსაც, სადაც ცენტრალურმა მთავრობამ გაგზავნა რეიხსვერი.

— დოლლარი ღირს 65 მილიარდი მარკა.

— სოციალ-დემოკრატიული პარტია ხელს უშლის საერთო გაფიცვას და ეხმარება პოლიციას.

— პოლანდიამ დაჰკეტა თავისი საზღვრები გერმანიასთან.

გაზეთ „კომუნისტი“-ს კანტორისაგან
რუსთაველის პრ. № 24, მეორე სართული.

კანტორა ამით აცნობებს ყველა ხელის მომწერლებს, რომ ნოემბერში გაზ. „კომუნისტ“-ზე დაწესებულია შემდეგი ფასები:

თვიური ხელის მოწერა ტფილისში

შინ მიტანით . . .	11.000.000 მან.
ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის	11.500.000 მან.
კოლექ. ხელის მოწ. მხოლოდ მუშებ.	8.000.000 მან.

ჟურნალ „ნიანგი“-ს ფასები:

თვიური ხელის მოწერა ყველასათვის	2.000.000 მან.
ერთი ეგზემპლიარი . .	1.000.000 მან.

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან. კანტორა სთხოვს ყველა ხელის მომწერლებს ხვედრი ფული თავის დროზე შემოიტანონ, ვინაიდან გაზეთი ნისიათ არავის გაეგზავნება.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის [illegible] წინადადებას იძლევა, რომ დღეს, 26 ოქ[illegible]

ერთიან პარტიულ დღეს

დაისვას საკითხი:

საქართველოს კომპარტიის ამოცანები თანამედროვე მომენტში

საქ. კომ. პარ. ტფილისის კომიტეტი იძლევა რა საერთო ხასიათის თეზისებს, რომელიც გამოქვეყნებული არის გაზ. „კომუნისტი“-ს გუშინდელ ნომერში, მართავს საინსტრუქტორო მოხსენებას უჯრედების მდივნებისა და ხელმძღვანელებისათვის, ტფილისის კომიტეტის ბინაზე, ხუთშაბათს, 25 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე. განხილული იქნება მთელი რიგი კონკრეტიული ღონისძიებისა ამ საკითხის შესახებ.

ტფ. კომიტეტის მდივანი **რუბენი.**

პროფკავშირთა ყრილობები

ამ ჟამად ჩვენში მიმდინარეობს ცალკე პროფესიონალურ კავშირთა ყრილობები.

ეჭვს გარეშეა, რომ ამ ყრილობების მუშაობაში დღევანდელი პოლიტიკური მომენტი მიიქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას.

კავშირებში თავმოყრილი მასების ამოძრავება საერთაშორისო რევოლიუციის საკითხების გარშემო, მათი პსიქოლოგიური და ორგანიზაციული მომზადება-დარაზმვა მოახლოვებულ უდიდესი მსოფლიო ამბების მოლოდინში, [illegible] მიწვდენა გერმანიის მებრძოლ პროლეტარიატისათვის,—ეს შეადგენს ჩვენი პროფკავშირების და მათი ყრილობების ერთ მთავარ ამოცანათაგანს, ნაკარნახევს მიმდინარე მომენტით.

ამასთან ერთად პროფკავშირებმა ოდნავადაც არ უნდა შეანელონ ჩვეულებრივი სააღმშენებლო, საკავშირო და კულტურული მუშაობა.

მათ დიდი მოვალეობა აწევთ ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების აღორძინების და გაჯანსაღების საქმეში.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღების შემდეგ, როცა პროფკავშირებს ჩამოერთვათ ფუნქციები სახელმწიფო მეურნეობაში უშუალო ჩარევის და მის ხელმძღვანელობის,—ისინი თითქო სავსებით ჩამოსცილდენ სამეურნეო აღმშენებლობის საქმეს, ისინი ვერ იჩენენ მისდამი საკმაო ინტერესს და ყურადღებას.

ეს იყო მეორე უკიდურესობაში გადაჩეხვა.

კავშირების მიერ მეურნეობის მართვა-გამგეობის და მისი წარმართვის ფუნქციების მითვისება საზარალო იყო ივით მეურნეობისათვის, ამას ჰქონდა არევდარევა საქმეში. ამიტომაც შეკვეცილ იქნა ამ ხრივ კავშირების მოქმედების სფერო და კომპეტენცია.

მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმა, რომ კავშირები აქტიურად არ დეხმარონ სახელმწიფოს, მის სამეურნეო ორგანოებს საბჭოთა სამეურნეო საქმიანობის გაჯანსაღებაში

ასეთ დახმარებას უეჭველად მოითხოვს ჩვენი მრეწველობის დღევანდელი მდგომარეობა. ჩვენი წარმოება და ვაჭრობა კარგად არ არის მოგვარებული. მათ აქვთ მრავალი დეფექტები ორგანიზაციული ხასიათისა. სხვათა შორის, მითაც აიხსნება ის ძვირე მრეწველობის პროდუქციის, რასაც ყველა ჩვენთაგანი განიცდის და პირველ ყოვლისა თით საკავშირო მასა.

პროფკავშირები ცოცხლად უნდა დაინტერესდნენ ჩვენი მეურნეობის მდგომარეობით ისინი უნდა იყვნენ მას საფუძვლიანად გაცნობილნი, მათ სამეურნეო ორგანოებთან ერთად უნდა მიიღონ გადამჭრილი ზომები ამ სფეროში ყველა დეფექტების ასაცილებლად და საქმის დასაყენებლად რაციონალურ ნიადაგზე.

აქვე ვიმეორებთ, რომ ეს სრულიად არ უნდა გამოიხატოს პროფკავშირების უშუალო ჩარევაში სამეურნეო საქმეებში, არამედ სათანადო ორგანოებთან შეთანხმებულ დამხმარე მუშაობაში.

უეჭველია, პროფკავშირების ასეთი აქტიური დახმარება ხელს შეუწყობს საბჭოთა მეურნეობის აღორძინებას, რასაც თავის მხრივ უდიდესი მნიშვნელობა ექნება თვით მუშების მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

[illegible] ფასის საკითხი იქცევს უმთავრეს ყურადღებას.

ჩვენი მეურნეობის მდგომარეობა ჯერ-ჯერობით კიდევ ისეთია, რომ საშუალებას არ იძლევა ხელფასის მომატებისათვის საერთო მასშტაბით. ამ ხრივ კავშირების ამოცანას შეადგენს შენარჩუნება უკვე მიღწეულ შედეგებისა, შენარჩუნება რეალურ ხელფასისა. ამისათვის საჭიროა კავშირებმა მიიღონ ზომები ხელფასის თავის დროზე დასარიგებლად, რაც ახლა იშვიათი მოვლენაა, და საქონლის მანეთის გამოსაანგარიშებლად ბაზრის პირობებთან შეფარდებით.

ამასთან საჭიროა ხელფასი მუშა-მოსამსახურეთა იმ კატეგორიებისა, რომელნიც საერთოდ არსებულ საშუალო განაკვეთზე ნაკლებს იღებენ, აწეულ იქნას ამ საშუალო ნორმამდე. უნდა მოისპოს ისეთი უსამართლობა, როცა არსებითად ერთი და იმავე შრომისა და პროფესიისათვის ერთ წარმოება-დაწესებულებაში ეძლევათ მეტი გასამრჯელო, ხოლო მეორეში გაცილებით ნაკლები.

მუშა-მოსამსახურეთა მატერიალურ მდგომარეობასთან დაკავშირებით, ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი მომენტი, სახელდობრ სხვადასხვა სახის გადარიცხვა, რომელმაც საზღვარს გადააჭარბა.

ამას წინად გამოცემულ იქნა მთავრობის დადგენილება, რომლის მიხედვით ასეთი გადარიცხვა არ უნდა აღემატებოდეს ხელფასის ოთხ პროცენტს. ეს ნორმა უნდა იქნას სასტიკად დაცული.

რა თქმა უნდა, ჩვენ აქ არ ვლაპარაკობთ სხვადასხვა საჭიროებისათვის ნებაყოფლობითი შეწირულებაზე, რომლის რაოდენობის განსაზღვრა დამოკიდებულია კერძო ნება-სურვილზე. მხოლოდ საჭიროა, რომ ასეთ გაღებას ჰქონდეს ნამდვილად ნებაყოფლობითი ხასიათი.

დიდი ყურადღებაა მისაქცევი აგრეთვე კავშირების კულტურული მუშაობისათვის. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ამ სფეროში ჩვენ ბევრი რამე გვაქვს გასაკეთებელი. მასის პოლიტიკური და კულტურული გათვითცნობიერება, საკლუბო მუშაობის წარმოება, სხვადასხვა წრეების მოწყობა—ისევ დგას ჩვენი მუშაობის დღის წესრიგში.

პროფკავშირების მიმდინარე ყრილობებმა უნდა შესძლონ ყველა ამ საკითხებში გარკვევა და საკავშირო მუშაობის გამოცოცხლება, როგორც ამას მოითხოვს დღევანდელი სინამდვილე.

პარტიის მორიგი ამოცანების შესახებ

ჩვენი პარტიის მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს 4 მომენტს: 1. შესაძლებელი ომი და ს. ს. რ. კ. დაცვა, 2. სამეურნეო განვითარების პერსპექტივები ომის შემთხვევაში, 3. სულიერი განწყობილება ქვეყნის შიგნით და 4. პარტიული მუშაობა ახალ პირობებში და სასტიკი ბრძოლა წვრილ-ბურჟუაზიულ ტენდენციებთან პარტიის შიგნით.

შესაძლებელი ომი და ს. ს. რ. კ. დაცვა.

გერმანიის ამბები უნდა გახდენ ჩვენი პარტიის ყურადღების ცენტრი ჩვენ ვატარებთ ფართე კამპანიას ამ საკითხის გამო. მაგრამ რომ ვკითხოთ ჩვენ თავს, შევსძლით თუ არა ჩვენ ამ კამპანიის ჩატარება ისე, რომ პარტიის თვითეულ წევრს შეეძლოს ახსნას: **რათ არის აუცილებელი პროლეტარული რევოლიუცია გერმანიაში, შეინარჩუნებს თუ არა თავის [illegible] დღეში ძალაუფლებას გერმანიის მუშა და რა დაბრკოლებებს შეხვდება ის ძალაუფლების დაპყრობის მეორე დღეს და ბოლოს, რა პოზიციას დაიჭერს ს. ს. რ. კ. გერმანიის რევოლიუციისადმი?**

შეიძლება ითქვას, რომ მთელი ჩვენი სააგიტაციო ტემპის პირობებში ჩვენ ამას ვერ მივაღწიეთ

აქედან დასკვნა: გერმანიის ამბების შესახებ კამპანიის ჩატარება არ შეიძლება ჩვეულებრივი წესით. ამ საკითხმა უნდა დაიჭიროს პირველი ადგილი ყველა ჩვენს პარტიულ კრებებზე, უნდა იდგეს დღის წესრიგში არა ერთხელ, არამედ ისე, რომ პარტიის თითეული წევრი დეტალურად იცნობდეს მას. პარტიის თითეულმა წევრმა უნდა შესძლოს აუხსნას უპარტიო მუშას და გლეხს—თუ რატომ არის შესაძლებელი ომი და რატომ არის საჭირო ახლავე, დაუყოვნებლივ მზადება ს. ს. რ. კ. დაცვისათვის,

ამ რიგად საჭიროა ხანგრძლივი, სერიოზული კამპანია გერმანიის საკითხის შესახებ პარტიის შიგნით.

1. ჩვენი მიზანია ვაწარმოოთ მშვიდობიანი პოლიტიკა, რომელიც იმდენად ნათელი უნდა იყოს, რომ ევროპის მუშების დიდი უმრავლესობა დარწმუნებული იყოს ჩვენს მშვიდობიანობის მოყვარულობაში.
2. მაგრამ ჩვენ მზად უნდა ვიყოთ თავდაცვისათვის... ქვეყანა, რომელსაც არ ძალუძს თავის დაცვა, ბურჟუაზიული მტაცებლების ადვილი მსხვერპლი ხდება.
3. ჩვენი „შესვენება“ არ არის მტკიცე, სანამ პროლეტარიატის დიდი გამარჯვებები არ შესცვლიან ძალთა განწყობილებას მსოფლიო არენაზე. ბურჟუაზიას ყოველ წუთში შეუძლია დაგვესხას ჩვენ თავს.
4. ჩვენ გვესაჭიროება კიდევ „შესვენება“. მაგრამ ჩვენი ბედი გადაჯაჭვულია გერმანიის რევოლიუციასთან. გერმანიის რევოლიუციის დამარცხება გაამაგრებს მსოფლიო ფაშიზმს, რომელიც უსათუოდ გადავა შეტევაზე ს. ს. რ. კ. წინააღმდეგ. ომი აუცილებელი შეიქნება.
5. შესაძლოა ომი არ მოხდეს. მაგრამ საჭიროა მუდამ მზად ვიყოთ მისთვის. ჩვენთვის ომს ყოველ შემთხვევაში თავდაცვის ხასიათის ექნება.
6. ს. ს. რ. კ. არ შეუძლია დაიჭიროს გერმანიის რევოლიუციის მიმართ ნაციონალური განცალკევების პოზიცია. ვიწრო ეგოისტური თვალსაზრისი არ არის პრაქტიკული და დაღუპამდის მიჰყავს პროლეტარიატი.
7. ჩვენ გვსურს ზავი, მაგრამ არ გვეშინია ომის.

ამ რიგად უნდა მივაღწიოთ იმას, რომ პარტიის აზრი განუწყვეტლივ მუშაობდეს შესაძლებელი ომის და ს. ს. რ. კ. დაცვის მიმართულებით.

ეს მდგომარეობა გვიქმნის ჩვენ „ახალ პირობებს“ „შესვენების“ შემდეგ.

სამეურნეო განვითარების პერსპექტივები ომის შემთხვევაში.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ შევუდგეთ ს. ს. რ. კავშირის დაცვას.

მეურნეობის მხრივ ეს ნიშნავს, რომ ჩვენი სამეურნეო ორგანოების მუშაობა ახალ კალაპოტში უნდა ჩადგეს. თვითეული სამეურნეო ორგანო უკვე აქედანვე უნდა მოემზადოს მოსალოდნელ ომთან დაკავშირებულ საკითხების გადასაწყვეტად. **საჭიროა გაძლიერებული იქნეს პარტიული ხელმძღვანელობა ჩვენს სამეურნეო მუშაობაში.**

[illegible]ტყვით თუ არა ჩვენ უარს ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე ომის შემთხვევაში? არა, ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე ჩვენ უარს არ ვიტყვით.

სულიერი განწყობილება ქვეყნის შიგნით.

დაწყებული ამბები მოითხოვენ ჩვენგან კიდევ უფრო მჭიდროთ დავუკავშირდეთ მუშების და გლეხების ფართო მასებს, გავაძლიეროთ ჩვენი გავლენა ამ მასებს შორის, ერთის მხრივ, და, მეორეს მხრივ, ყურადღებით მოვეპყროთ იმას, თუ რა ხდება ჩვენი მტრების ბანაკში და ქვეყნის შიგნით.

უპარტიო მასებს შორის აგრეთვე საჭიროა არაჩვეულებრივი წესით გავატაროთ კამპანია გერმანიის ამბების შესახებ. განსაკუთრებით საჭიროა საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა გლეხთა შორის, რომელთათვისაც საჭიროა მართალი და სისტემატიური ინფორმაცია გერმანიის მდგომარეობის შესახებ.

ჩვენი ამოცანაა: თვითეულ მუშას და გლეხს განუმარტოთ გერმანიის ამბების აზრი და პრაქტიკულად აღვნუსხოთ **როგორი იქნება შედეგები, თუ გერმანიის რევოლიუცია დამარცხდება და, პირიქით, თუ იგი გაიმარჯვებს. რატომ უნდა შევუდგეთ დაუყოვნებლივ თავდაცვისათვის მზადებას?**

პარტიული მუშაობა ახალ პირობებში და გადამწყვეტი ბრძოლა წვრილ-ბურჟუაზიულ ტენდენციებთან პარტიის შიგნით.

გადავიდეთ პირდაპირ პრაქტიკულ ღონისძიებებზე:

1. გაძლიერებულ უნდა იქნას პოლიტიკურ-პარტიული მუშაობა, [illegible] დავიწყებული სხვა დანარჩენი საკითხებიც (სამეურნეო, პროფეს., ყოფაცხოვრების და სხვა)
2. განახლებულ უნდა იქნას რეგულიარული მეცადინეობა სამხედრო საქმის შესასწავლად.
3. გაძლიერებულ იქნას დისციპლინა და რეპრესიები.
4. გამოცხადებულ იქნას ბრძოლა კომპარტიის და საბჭოთა ხელისუფლების აშკარად მოწინააღმდეგე ელემენტებთან კომუნისტების პირად კავშირის წინააღმდეგ.
5. დასმულ იქნას ამოცანად, რათა კომუნისტი ჩამოშორებულ იქნას ნათესავურ ურთიერთობის ზეგავლენისაგან, როდესაც ეს ურთიერთობანი უარყოფითად მოქმედებს მასზე როგორც კომუნისტზე.
6. ვაიძულოთ „პასუხისმგებელი“ მუშაკები პირნათლად აასრულონ პარტიული მოვალეობანი ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით.
7. გაძლიერებულ იქნას კანტროლი კომუნისტი-სამეურნეო მუშაკების მიერ პარტიულ მოვალეობის შესრულებაზე და არავითარ შემთხვევაში არ იქნან ეს უკანასკნელები ჩამოშორებული პარტიისაგან.
8. ორგანიულად დაუკავშირდეთ სამხედრო ორგანიზაციებს და გავაძლიეროთ მუშაობა წითელ არმიაში.
9. ახალგაზრდობა უნდა გახდეს პარტიის განსაკუთრებული ყურადღების საგნათ. დღევანდელ მომენტში ახალგაზრდობა უნდა იყოს გარკვეული გერმანიის ყველა ამბებში, ამასთანავე ეს კამპანია ახალგაზრდობის შორის უნდა იქნას გატარებული აგრეთვე არაჩვეულებრივი წესით.
10. გაბედული ბრძოლა უნდა გამოეცხადოს ყოველგვარ ანტიკომუნისტურ მოქმედებებს, როდესაც ჩაიდენენ ცალკე კომუნისტები, ახალ ეკონომიურ პოლიტიკის სულიერ განწყობილების ზეგავლენით.
11. პარტიამ გაბედული ბრძოლა უნდა აწარმოოს სახელმწიფოებრივ საშუალებათა დახარჯვის სასტიკი ეკონომიის სასარგებლოთ.

რუბენი.

გერმანიის რევოლიუცია და საფრანგეთის კომუნისტები

გერმანიის დიდი რევოლიუცია განსაკუთრებულ მოვალეობას უყენებს წინ ყველა ქვეყნის კომუნისტებს. ეს მოვალეობა ყველგან რთულია და ძნელი. ერთ შემთხვევაში ამ სირთულის მიზეზი არის—როგორ გასაკვირალიც არ უნდა იყოს პირველი შეხედვით ასეთი დებულების წამოყენება—სიძლიერე ამა თუ იმ პარტიის, მაგ. რუსეთისა და მის მოკავშირე ქვეყნების კომპარტიის. მეორე შემთხვევაში კი—სიძნელეს წარმოადგენს სისუსტე პარტიის, მისი მცირე ადგილი საზოგადოებრივ ცხოვრებაში უმნიშვნელო გავლენა აქტიურ ძალების ასეთ თუ ისეთ კომბინაციაზე. ასეთია, მაგალითად საფრანგეთის კომპარტიის მდგომარეობა. ამ წერილში მე მსურს ვილაპარაკო სწორეთ ამ უკანასკნელზე.

ყველაზე უფრო ძლიერი და მოსისხლე მტერი გერმანიის რევოლიუციისა—თუ ვილაპარაკებთ გარეშე მტრებზე—არის საფრანგეთის იმპერიალიზმი. ორნაირი საფრთხე მოელის მას ამ რევოლიუციის გამარჯვებიდან. უმთავრესია რევოლიუციის განვითარება მეზობელ ქვეყნებში და მათ შორის საფრანგეთშიც. ასეთ შემთხვევაში ყოფნა არ ყოფნის საკითხი დაისმება მთელი დღევანდელი რეჟიმისა და ამ ქვეყანაში მისი მატარებელი გაბატონებული კლასისათვის. და ვინაიდან, როგორც იტყვიან, „სული მწარეა“, საფრანგეთის მესვეურებიც ყოველ ზომას მიმართავენ, რათა „მშრალი“ გამოვიდნენ შექმნილი მდგომარეობიდან.

არა ნაკლები მნიშვნელობის არის ის გავლენა, რომელსაც იქონიებს გერმანიის რევოლიუცია საზოგადოთ იმ „კონსტიტუციაზე“, რომელიც მოახვია თავზე ევროპას „ვერსალის ზავმა“. ცხადია ყველასათვის დღეს, რომ სწორეთ ვერსალის ზავის პირობებმა საფრანგეთს გადასცა ხელში ჰეგემონია (როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური და მილიტარისტული) ევროპის მთელ კონტინენტზე. ცხადია, რომ ძალთა ასეთ განწყობილებას ემუქრება გერმანიის რევოლიუცია, ის ემუქრება საფრანგეთს, პირში ჩალა გამოვლებული გაისტუმროს რეინის მეპარჯვენე და მემარცხენე ნაპირებიდან. ცხადია, რომ არც ამ მხრივ უღიმის საფრანგეთის იმპერიალისტებს რევოლიუციის გამარჯვების პერსპექტივები.

ორივე შემთხვევა დამღუპველი იქნებოდა მათთვის და ისინი კიდევაც იღებენ ზომებს ასეთი „უბედურობის“ თავიდან ასაცილებლათ. საფრანგეთის გაბატონებული კლასები ემზადებიან ამ ამბების შესახვედრათ, ისინი სცდილობენ დაარწმუნონ „საზოგადოებრივი აზრი“, რომ გერმანიაში მზადდება ერთი რაღაც საშინელება, რომელიც ემუქრება **მთელი საფრანგეთის ხალხის** არსებობას, მის სარჩო საბადებელს. პირველი—რითაც მათ შეუძლიათ დააშინონ საფრანგეთის (ტრადიციულათ, 1871 წლებიდანვე, დაშინებული) სოფლის წვრილი ბურჟუაზია და ქალაქის მეშჩანობა, არის სარევანშო ომის საფრთხე გერმანიის მხრივ. საფრანგეთის ნაციონალისტური პრესა ავრცელებს იმ აზრს, რომ გერმანია დღე და ღამ ამზადებს ასეთ ომს. ეს კიდევ ცოტაა, რომ ამ ომს ის ამზადებს რუსეთის ბოლშევიკებთან ხელიხელ ჩაკიდებული ამიტომ საჭიროა „levée en masse“, მასიური გამოსვლა მობილიზაციის შემთხვევაში, „ქუდზე კაცი“, რათა დაცულ იქნას სამშობლო ეს „არგუმენტაცია“ გავლენას ახდენს.

მაგრამ არის კიდევ მეორე გარემოება, რომლითაც მოხერხებულათ სარგებლობენ ომის იდეოლოგები საფრანგეთში. საქმე იმაშია, რომ ომმა და მას მიერ შექმნილმა ეკონომიურმა პირობებმა დაასუსტა და დაალარიბა ხალხი. სახელმწიფოს ესაჭიროება ომიანობის დროზე არა ნაკლებ ხარჯების გაღება დღეს და ისიც გადასახადებს მიმართავს. ეს კი უკმაყოფილებას იწვევს. ამ საერთო უკმაყოფილების პირობებში მალამოსავით მოეცხო „ხალხს“ საფრანგეთის იმპერიალისტების ძახილი: „გერმანია გადიხდის“-ო. ამას ჩასჩიჩინებდენ ყოველდღე ყველას. გარდა ამისა სარეპარაციო გადასახადები, რომელიც თავზე მოახვიეს გერმანიას, განზრახულია ნაწილობრივ მაინც საფრანგეთის დანგრეული რაიონების რეპარაციისთვის, აღდგენისთვის. და როდესაც პრესა გამოდის და ელაპარაკება ხალხს, რომ თუ რევოლიუციამ გაიმარჯვა გერმანიაში—ეს უკანასკნელი აღარ გადაიხდის მილიარდებს, მთავრობა იძულებული შეიქნება გადასახადებს მოუმატოს, დანგრეული რაიონების მეურნეობას ვეღარ ავაყენებთ და ამით ამ რაიონების გლეხობა დაიღუპება, რომ, გარდა ამისა, თვით მთავრობაც ვეღარ შესძლებს გადაუხადოს ომის დროიდან აღებული შინაური სესხი და სარგებლი საფრანგეთის წვრილ და საშუალო შეძლების ხალხს, რომელმაც თავისი შრომით მოგროვილი ქონება სახელმწიფოს ასესხა „სამშობლოსათვის“ საბედისწერო ჟამსო და სხვა—როდესაც ყოველივე ამას ჩასჩიჩინებენ ხალხს, ცხადია ესეც ახდენს გავლენას და ყველა „არგუმენტები“, ერთათ შეზავებული, ჰქმნიან ერთნაირ საომარ განწყობილებას, რომელსაც ადვილათ გამოიყენებენ გაბატონებული კლასები გერმანიის რევოლიუციის ჩასაქრობათ.

ასეთ პირობებში უხდებათ მუშაობა საფრანგეთის კომუნისტებს.

მათ საქმე აქვთ წვრილ ბურჟუაზიულ ქვეყანასთან უმთავრესათ, მათ უნდა მოახერხონ—თუ სრულიათ ვერ მოიმხრობენ საზოგადოებრივ აზრს,—ყოველ შემთხვევაში რამოდენიმეთ შეასუსტონ ის ნაციონალისტური და მილიტარისტული „აღტყინება“, რომელიც სურს გააღვივოს ბურჟუაზიულმა პრესამ.

მკითხველი ხედავს, როგორი რთული ამოცანა აქვს გადასაწყვეტი ჩვენს ძმურ პარტიას საფრანგეთში.

როგორ უდგება ის ამ ამოცანის გადაჭრას?

კომუნისტური პარტია ძალაუნებურათ—რადგან ეს ფაქტია—გამოდის იმ მდგომარეობიდან, რომ დაზარალებული რაიონების გლეხობა და საზოგადოთ კი წვრილი ბურჟუაზია დაინტერესებულია „გერმანიამ გადაიხადოს“. მაგრამ—ეუბნება ის ხალხს—ეს მოსახერხებელი იქნება მხოლოთ მაშინ, თუ 1) არ დაანაწილებენ გერმანიას, 2) თუ იქ გაიმარჯვებს მუშათა კლასი, ქვეყნის სათავეში ჩადგება პროლეტარიატი, რომელიც მოახდენს ბურჟუაზიის ექსპროპრიაციას და მხოლოთ ამ გზით გაუსწორებს ანგარიშს არა საფრანგეთის მადაგახსნილ ბანკირებს და მძიმე ინდუსტრიის გმირებს, რომლებიც ძარცვავენ თვითონ საფრანგეთის მშრომელთ, არამედ დაინტერესებულ წვრილ კრედიტორებს, წვრილ ბურჟუაზიას და დაზარალებულ გლეხობას ჩვენი ამხანაგები საფრანგეთში ამ შემთხვევაში მიდიან იმ დათმობაზე, რომელზედაც წავიდა საბჭოთა მთავრობა, როდესაც მან თუმცა გააუქმა თავისი ვალდებულება მსხვილ კრედიტორების მიმართ, მაგრამ განაცხადა, რომ ის მზათ არის იცნოს წვრილი კრედიტორების ვალები და გაუსწოროს მათ.

საფრანგეთის კომუნისტური პარტია ეწევა დღეს თავის პრესაში, მიტინგებზე თუ კრებებზე ასეთ აგიტაციას. გარდა ამისა ის აწარმოებს ანტიმილიტარისტულ მუშაობას, რათა ხელი შეუშალოს ინტერვენციას გერმანიაში, დაბოლოს ის ემზადება საყოველთაო გაფიცვისათვის ამ ინტერვენციის შემთხვევაში.

პარაბელლუმ.

სამოქალაქო ომი გერმანიაში

(„ზაკროსტა“-ს ცნობები).

აჯანყება ჰამბურგში: აჯანყებამ ფართე ხასიათი მიიღო, მუშებმა ხელში ჩაიგდეს 13 საპოლიციო უბანი. ქუჩებში ამართულია ბარიკადები. პოლიციას მოსდის დამხმარე რაზმები.

ბრემენშიაც დაიწყო ბრძოლა: ჰამბურგის აჯანყება მოედო ბრემენსაც, სადაც მუშები ქუჩებში ებრძვიან პოლიციელებს. სოციალ-დემოკრატები ეხმარებიან პოლიციელებს.

სოციალ-დემოკრატია მუშების წინააღმდეგ: სოციალ-დემოკრატები მუშაობენ მუშების წინააღმდეგ რეიხსვერებთან ერთად და ცდილობენ ხელი შეუშალონ საერთო გაფიცვას.

სეპარატისტული მოძრაობა: რეინის მთავრობა ფიქრობს საკუთარი ფულის გამოშვებას და სრულიად დამოუკიდებელ სახელმწიფოს შექმნას.

მთავრობის „ზომები“: მთავრობა ატუსალებს კომუნისტებს და ჯარს აგროვებს მოძრაობის ჩასაქრობლად.

აჯანყება ჰამბურგში

1918 წლის რევოლიუციის სურათი.

ბერლინი 24 ოქტომბერი. ჰამბურგის ქუჩებში გრძელდება გასხარებული ბრძოლა მუშებსა და პოლიციის შორის. გაზ. „ფოსიშე ცეიტუნგის“ აზრით, ჰამბურგის ამბები ძალიან მოგვაგონებს 1918 წლის რევოლიუციის დღეებს. რამდენიმე წარმოებებში გამოცხადებული გაფიცვები გავრცელდა მთელ რიგ და ქარხნებში ადმინისტრაციამ დაითხოვა ყველაზე დიდ ვულკანის ვერფის მუშები, რომელნიც გაფიცვას შეუერთდნენ. აღშფოთებულმა მუშებმა დაიჭირეს რკინისგზის ლიანდაგის აურა ჰამბურგსა და ლიუბეკს შორის რათა ხელი შეუშალონ რეიხსვერის ჩასვლას. მოხდა სასტიკი ბრძოლა მუშებსა და პოლიციას შორის

მუშებმა იერიშები მიიტანეს საპოლიციო უბნების წინააღმდეგ, ხელში ჩაიგდეს 13 საპოლიციო უბანი და დიდძალი იარაღი. მიიღოს რა დამხმარე ძალები პოლიციამ უკან დაიბრუნა 9 უბანი. მუშებს თავის განკარგულებაში ჰქონდათ რამდენიმე ზარბაზანი.

ჰანებეკის რაიონში და ქალაქისაკენ მომავალ გზა-ტკეცილის გასწვრივ, ამართულია ბარიკადები. ამ ჟამად გრძელდება ბრძოლა ბარიკადებზე და მუშების მიერ დაკავებულ საპოლიციო უბნებში. პროფკავშირთა სახლის წინ თავმოყრილი მუშათა მრავალრიცხოვანი ბრბო გარეკილ იქნა საბარგო ავტომობილებით ჩამოსულ რეიხსვერის ნაწილების დახმარებით.

მოძრაობა მთელ ქალაქში შეწყვეტილია, მაღაზიები დაკეტილია. რეიხსვერის სარდლის განკარგულებით ყველა სახლების ფანჯრები ჩაკეტილია. ქალაქის თვითმართველობის შენობას პატრულები იცავენ.

ალტონსა და იტერზენში, ჰამბურგის მახლობლად სწარმოებს აგრეთვე ბრძოლები. გაზ. „ფორვერტსის“ ცნობით, ბრძოლაში მონაწილეობას იღებენ უმთავრესად პროლეტარული რაზმები ლიუბეკიდან ჰამბურგში გაიგზავნა რეიხსვერის ნაწილები.

ჰამბურგის სენატმა მიმართა მცხოვრებთ მოწოდებით, რომელშიაც დაჰპირდა მახლობელ დღეებში უზრუნველყოფილ 500 მილიარდიან მარკების გამოშვებას მრეწველობის საჭიროებისათვის და აღუთქვა უმუშევრებს დახმარება 2 მილიარდი მარკით თითო კაცზე.

ჰამბურგში ჩავიდენ რეიხსვერის ახალი ნაწილები და ნაღმოსანთა ფლოტილია:

ბერლინი 24 ოქტომბერი. ჰამბურგში ჩასულმა რეიხსვერის ნაწილებმა და ნაღმოსანთა ფლოტილიამ [illegible] ბრძოლები. დაღამებისას მახლობლად ხელახლა დაიწყო ბრძოლები [illegible] მოწყობილი. პოლიცია იბრძვის სახლების სახურავებიდან. ჰამბურგის [illegible] რეიხსვერი და ნაღმოსანთა მხადრა.

ბრემენშიაც დაიწყო ბრძოლა

მდგომარეობა

ბერლინი. 24 ოქტომბერი. ჰამბურგში წარმოებულ ბრძოლების გამო მდგომარეობა ბრემენში მეტად გამწვავდა, მუშებმა მოაწყვეს ზედამხედველობა ვულკანის ვერფის ადმინისტრაციაზე, დაიკავეს სატელეფონო სადგური და დაიწყეს პროლეტარულ რაზმების შედგენა. ბევრ წარმოებებში გამოცხადებულია გაფიცვები.

მოძრაობა ძლიერდება

ბერლინი. 25 ოქტომბერი ჰამბურგში დაწყებული აჯანყება მოედო ბრემენსაც, სადაც გამოცხადებულია საყოველთაო გაფიცვა. ვერფ „ვულკან“-ის მუშებმა შესწყვიტეს მუშაობა და შეადგინეს პროლეტარული რაზმები. რომლებმაც ხელში იგდეს ტელეფონის სადგური და დააწესეს კანტროლი ვერფის ადმინისტრაციაზე

სოციალ-დემოკრატები მუშების წინააღმდეგ

სოციალ-დემოკრატები ეხმარებიან პოლიციას აჯანყების ჩაქრობაში

პოლიციის დასახმარებლად გაწვეული არიან რესპუბლიკანური რაზმები, რომლებშიაც სოციალ-დემოკრატებიც შედიან. ოფიციალურ ცნობების თანახმად, პოლიციის და ჯარების მხრივ მოკლულია 5, მძიმედ დაჭრილია 30 კაცი, მუშების მხრივ კი მოკლულია 14 და მძიმედ დაჭრილია 105. ნამდვილად კი მსხვერპლის რაოდენობა გაცილებით მეტია

ალტონში სწარმოებს პატარ პატარა ბრძოლები. არენბურგში ხდება შეტაკება პოლიციასთან და ადგილი აქვს დაპატიმრებას მუშებს შორის. მოძრაობა ჰამბურგ-ლიუბეკის ხაზზე აღდგენილია.

მენშევიკებს ეშინიათ საყოველთაო გაფიცვის

სოციალ-დემოკრატების საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმი და სრულიად გერმანიის მოსამსახურეთა კავშირის გაერთიანების ადგილობრივი ორგანიზაცია მოუწოდებენ მუშებს არ გაჰყვენ კომუნისტების ლოზუნგს საყოველთაო გაფიცვის გამოცხადების შესახებ, და აღუთქვამენ მათ სურსათის მიწოდებას და უმუშევართათვის სამუშაოების მიცემას.

მენშევიკები აფერხებენ რევოლიუციონურ ბრძოლას.

ბერლინი. 24 ოქტომბერი. საქსონიის სოციალ დემოკრატიულმა პარტიამ და პროფკავშირებმა გამოაქვეყნეს მოწოდება მუშათა მიმართ, რომელშიაც წინადადებას აძლევენ მათ არ აჰყვენ საყოველთაო გაფიცვის ლოზუნგს.

მთავრობის წინააღმდეგ

შეტაკება მუშებთან

ბერლინი. 25 ოქ საქსონიის სხვადასხვა ნაწილებში მოხდა უმნიშვნელო შეტაკება ჯარებსა და მუშებს შორის.

არეულობა უსურსათობის ნიადაგზე.

ბერლინი. 25 ოქტომბერი. გადმოგვცემენ, რომ შტეტინში, ბრაუნშვეიგში და ერფურტში მოხდა არეულობა უსურსათობის ნიადაგზე.

ლონდონი. 25 ოქტომბერი. ბერლინიდან მიღებული ცნობით, ქალაქში ძლიერდება მღელვარება უსურსათობის ნიადაგზე. დარბეულია ყველა პურის საცხობები.

გამოცხადებულია საყოველთაო გაფიცვა.

ბერლინი. 23 ოქტომბერი. ლუდენდორფის სამრეწველო ცენტრში ხდება შეტაკებები მუშებსა და ჯარებს შორის. გამოცხადებულია საყოველთაო გაფიცვა.

რეიხსვერის შეტაკება მუშებთან.

რეიხსვერმა სროლა აუტეხა უმუშევრებს.

ქალაქის თვითმართველობა მოითხოვს [illegible] გაყვანას და დამნაშავეთა დასჯას.

ანებერგში მუშებმა ქალაქის თვითმართველობის შენობა დაიკავეს.



ცეიგნერი
საქსონიის მინისტრ-პრეზიდენტი

ხემნიცში მასიური დემონსტრაციები იმართება. გრიმაში მუშებს შეტაკება მოუხდათ რეიხსვერთან. მრავალი მუშა მოკლულია და დაჭრილი.

უკანასკნელი დეპეშები

მოლაპარაკება სეპარატისტებთან

ბერლინი, 23 ოქტომბერი. გუშინ საღამოს კანცლერი—შტრეზემანი, შინაგან საქმეთა მინისტრი—ზოლმანი, დაპყრობილ ოლქების მინისტრი—ფუქსი და პრუსიის პრემიერი ბრაუნი—გაემგზავრენ გაგენში (რეინის ოლქის საზღვარზე) რეინის ოლქის წარმომადგენლებთან შექმნილი მდგომარეობის გამოსარკვევად შტრეზემანთან ერთად გაემგზავრენ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები.

როტე-ფანეს სტამბის დაბეჭდვა.

პარიზი. 25 ოქტომ. ბერლინიდან იუწყებიან, რომ სტამბა, სადაც „როტე ფანე“ იბეჭდებოდა, დაბეჭდილია.

გერმანიის ახალი ნოტა

ლონდონი. 25 ოქტომ. „დეილი მეილი“ იტყობინება, რომ ომიანობის შედეგების სალიკვიდაციო გერმანულმა კომისიამ გადასცა გუშინ ახალი ნოტა საკონტრიბუციო კომისიას, რომელსაც სთხოვს გამოარკვიოს გერმანიის მიერ კონტრიბუციის გადახდის უნარიანობა და მისცეს საშუალება გერმანიის წარმომადგენელს გააკეთოს მოხსენება გერმანიის მიერ მოკავშირეთა წინაშე თავის ვალდებულებათა შესრულების შესახებ.

რეაქციონური გერმანიის მესვეურები



გენერალ მიულერ.

გერმანიის სამხედრო მინისტრი, რომელიც საალყო წესების გამოცხადების გამო დიქტატორული უფლებებით აღიჭურვა. უკანასკნელი ცნობებით მიულერი მძიმე ავად არის და ძალაუფლება გადაეცა გენერალ სეკტს.



გენერალი ფონ-სეკტ.

რეიხსვერის უფროსი. ცნობილია თავისი ახლო კავშირით გერმანიის უდიდეს მრეწველ სტინესთან. ამ ჟამად ფონ-სეკტ გერმანიის სრულუფლებიანი დიქტატორია.

სეპარატიული მოძრაობა

სეპარატისტებს ეშინიათ ინგლისელების.

ბერლინი. 24 ოქტომბერი. ინგლისის ოკუპაციის რაიონში სიწყნარეა, რადგან ინგლისის სამხედრო ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ის იარაღს მიმართავს სეპარატისტების წინააღმდეგ.

ფრანგები მფარველობას უწევენ სეპარატისტებს

ბონში პოლიცია იცავდა ქალაქის გამგეობის შენობას. ამ დროს მოვიდენ ფრანგები ტანკებითა და ჯავშნოსნებით და გარეკეს პოლიცია; ქალაქის გამგეობის შენობა დაიჭირეს სეპარატისტებმა

კელნში დაარსებულია რეინის რესპუბლიკის დროებითი მთავრობა, რომელშიაც შედიან დორტენი, დეკერსი და ჰუტხარი.

მუშები ემზადებიან წინააღმდეგობისათვის.

ვოლფის კონცერნის ორგანო „კელნიშერ ტაგებლატ“-ი აშკარათ მხარს უჭერს სეპარატისტებს. ბერლინის მთავრობა მოლაპარაკებას აწარმოებს კელნის ობერ-ბურგომისტრ ადენაუერთან რეინის სახელმწიფოს დაარსების შესახებ, რომელიც უნდა შევიდეს გერმანიის კავშირში. მუშათა ორგანიზაციები და პროფკავშირები აარსებენ მოქმედების შეერთებულ კომიტეტებს და ემზადებიან წინააღმდეგობისათვის.

სეპარატისტები განდევნილი არიან აახენიდან.

ბერლინი. 24 ოქტომბერი. აახენში მუშებმა სეპარატისტები განდევნეს ქალაქიდან და დაიკავეს მთავრობის ყველა შენობები.



იოსებ მატტეს

სეპარატისტების ერთი ბელადთაგანი, რომელიც სურთ გამოაცხადონ რეინის რესპუბლიკის პრეზიდენტათ.

რეინის საკუთარი ვალუტა.

ბერლინი. 24 ოქტომბერი. ბადენის მთავრობას განზრახვა აქვს გამოუშვას საკუთარი ვალიუტა, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება ოქროთი.

მთავრობის „ზომები“

ბერლინი. 23 ოქტ. [illegible] ლი არიან კომუნისტები პფეიფე, როზენბერგი, ტიდე და... (დამახინჯებულია).

კომუნისტების დაპატიმრება.

ბერლინი. 25 ოქტ. ალტონში, ჰამბურგის აჯანყებასთან დაკავშირებით, დაპატიმრებულია 80 კომუნისტი. აჯანყებულები მი[illegible] ვანდსბეკის და [illegible] რაიონისაკენ.

მარკის კურსი.

ბერლინი. 24 ოქტომბერი. დოლარის ოფიციალური კურსი უდრის 65 მილიარდ მარკას.

საბჭოთა ვარსკვლავის ან ფაშისტური ნიშნის დიქტატურა.

ბერლინი. 23 ოქტომბერი. ჰიტლერმა ნიურენბერგში წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც განაცხადა, რომ **ამ ჟამათ შესაძლებელია ან საბჭოთა ვარსკვლავის ან ფაშისტური ნიშნის დიქტატურა.** ჰიტლერმა მოუწოდა ფაშისტებს შეუდგენ ახალი [illegible] ზნოებაზე, იქნება ის რესპუბლიკა თუ მონარქია.

სცდილობენ მოიმადლიერონ მუშები.

ბერლინი. 23 ოქტომ. პროფკავშირთა სრულიად გერმანიის გაერთიანების პრეზიდიუმმა ულტიმატიურათ მოითხოვა მთავრობისაგან მიაწოდოს მუშებს საკმაო სურსათი და გაუდიდოს მათ სამუშაო ხელფასი მარკის კურსის დაცემასთან შეფარდებით სატარიფო ხელშეკრულებების მიუხედავათ. შტრეზემანმა და ფინანსთა მინისტრმა აღუთქვეს პროფკავშირების დელეგატებს მოთხოვნილების დაკმაყოფილება. მიცემულია განკარგულება ოქროს სესხის ობლიგაციების გამოშვების შესახებ. **წარმოებებს უფლება მიეცათ გამოუშვან უზრუნველყოფილი საანგარიშო ნიშნები.** მუშებზე შეწერილი გადასახადი მცირდება. ავანსები, რომლებიც ეძლევა უმუშევრებს, გადიდებულია. მიეცა კრედიტები კომუნალურ თემებს, სასურსათო კრიზისის შემსუბუქების მიზნით.

მემამულეებზე ნაკლები იმედებია.

ბერლინი. 23 ოქტომბერი. ახალმა სასურსათო მინისტრმა კანიცმა გამოუშვა მემამულეებისადმი მოწოდება, რომელშიაც აღნიშნავს, რომ უკანასკნელებმა უნდა დაივიწყონ ყველა პარტიული მოსაზრებები და მხარი დაუჭირონ სახალხო მეურნეობას, რომლის აღორძინება შეიძლება მხოლოდ სახელმწიფოს მთლიანობის დაცვით და კატასტროფიული შიმშილობის თავიდან აცდენით.

მთავრობა იმეორებს უხეირო მანევრს.

ბერლინი. 23 ოქტომბერი. გერმანიის მთავრობამ კვლავ აკრძალა უცხოეთის ვალიუტის არაოფიციალური კოტიროვკა.

გამოცემულია განკარგულება, რომლის ძალითაც იმ მაღაზიების მეპატრონეები, რომლებშიაც იყიდება პირველ მოთხოვნილების საგნები, **ვალდებული არიან გაყიდონ საქონელი ქაღალდის მარკაზე. განწყობილება ბერლინში ძლიერ მღელვარეა. პურის სიმცირის და სურსათის საზღაპრო სიძვირის გარდა, თავი იჩინა ხურდა ვალიუტის კრიზისმა.**

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

ს. ს. რ. კავშირის ცნობისათვის.

ნიუ-იორკი. 22 ოქტ. რუსეთიდან დაბრუნებულმა კონგრესის წევრმა ჰამილტონ ფიშმა პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს განაცხადა, **რომ რუსეთის მდგომარეობა ძალიან გაუმჯობესებდა. ფიში მხარს უჭერს ამერიკის მიერ საბჭოთა მთავრობის ცნობას,** იმ პირობით, თუ უკანასკნელი თანხმობას გამოაცხადებს კონფისკაციით ჩამორთმეულ ქონების კომპენსაციის მიცემაზე.

ფიშის სიტყვით, ჩერვონეცს შეუძლია მეტოქეობა გაუწიოს თავისი სიმტკიცით ევროპის ყველაზე მტკიცე ვალიუტას.

უკრაინის ექსპორტი გერმანიასა და ინგლისში.

მოსკოვი, 23 ოქტ. უკრაინის სასაკლაო აწარმოებს მოლაპარაკებას საგარეო ვაჭრობას კომისარიატთან გერმანიასა და ინგლისში 200.000 ფ. ღორის ხორცის და 10.000 ფ. ცოცხალი ღორების გატანის შესახებ.

ს. ს. რ. კავშირთან სამეურნეო ურთიერთობის განვითარება.

პარიზი. 22 ოქტომბერი. ს. ს. რ. კავშირის სახ. ბანკის თავმჯდომარემ შეინმანმა, რომელიც ამჟამად პარიზში იმყოფება, საფრანგეთის, ინგლისის და ამერიკის პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს, აცნობა მათ ს. ს. რ. კავშირში ჩერვონეცის მტკიცე ვალიუტის შემოღების შესახებ. გარდა ამისა მან აღნიშნა, რომ **ს. ს. რ. კავშირი იღებს ზომებს სახ. ბანკის და საფრანგეთის ბანკების შორის უშუალო კავშირის დასამყარებლად და ორივე ქვეყნებს შორის ურთიერთობის განსავითარებლად.** დასკვნაში შეინმანმა იმედი გამოსთქვა, რომ ახლო მომავალში მიღწეული იქნება შეთანხმება ორივე მხარესათვის საინტერესო საკითხებში.

იაპონია ჩვენი მეგობარია.

ტოკიო. 22 ოქტომბერი. იაპონიის სამხედრო მინისტრმა ტანაკამ რუსეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა: „აცნობეთ თქვენ ამხანაგებს ს. ს. რ. კავშირში, **რომ მე ვარ რუსეთის მეგობარი.** ჩვენი პოლიტიკა ჩრდილოეთ სახალინის საკითხში უცვლელი იქნება. სპეციალურ მოლაპარაკების შესახებ ზედმეტია ლაპარაკი, რადგან მთავრობამ ანგარიში უნდა გაუწიოს არა მარტო მეზობლის სამხედრო ძალებს, არამედ მდგომარეობას ქვეყნის შიგნივაც. ტანაკამ დაადასტურა, რომ **სამხედრო სამინისტრო ითხოვს საგანგებო კრედიტებს სამხედრო საჭიროებისათვის“.**

მდგომარეობა პოლონეთში

გაფიცვის შედეგები ზემო-სილეზიაში.

ვარშავა. 23 ოქტომბერი. ზემო-სილეზიაში გაფიცვის შედეგათ მუშებმა მოიპოვეს ხელფასის 130 პროც.-ით გადიდება, პირველ საჭიროების საგანთა საზღვარ გარეთ გატანის აკრძალვა და სამთო მუშათა და რკინისზელთა ხელფასის გათანასწორება.

პოლონეთის სოციალისტურ პარ[illegible]“ პარტიის ვერაგულ პოლიტიკის გამო, გაფიცული მუშები აიძულეს [illegible].

რკინის გზის მემანქანეთა გაფიცვა.

ვარშავა. 23 ოქტომბერი. მემანქანეთა კავშირის ც. კ-ის დეპეშის მიუხედავათ, რომელშიაც ც. კ-ი გაფიცვის გამოცხადებას ეწინააღმდეგებოდა, კრაკოვის რკინის გზის მემანქანეებმა გაფიცვა გამოაცხადეს. ფაშისტების მცირე რიცხოვანმა ჯგუფმა მოახერხა მხოლოდ რამოდენიმე მატარებლის გამგზავრება. გაფიცვა ფართოვდება და რკინისგზელთა სხვა კატეგორიებზეც ვრცელდება. იუწყებიან, რომ ოთხშაბათს გაფიცვას მიემხრობიან გაზის ქარხნების, ელექტრო-სადგურის და წყალსადენის მუშები.

ცუდი ნიშანია.

ვარშავა. 23 ოქტომბ. გამოურკვეველ მოსაზრებათა გამო მთავრობას [illegible] ყველა [illegible] პატიმართა უმრავლესობა გადაგზავნილია გამოურკვეველ ადგილებში.

როგორი ხელისუფლებაცაა, ისეთივეა სამსჯავროც

ვარშავა. 23 ოქტომბ. საოლქო სასამართლომ დაამტკიცა ქაღალდის მრეწველობის მუშა-ებრაელთა და ებრაელ ხაბაზების პროფკავშირთა დახურვა.

აჯანყება საბერძნეთის ჯარში

ლონდონი. 23 ოქტ. „დეილი მეილი“-ს ათინელი კორესპონდენტი იუწყება, რომ მეფე კონსტანტინეს დროს შტაბის უფროსად ნამყოფ გენერალ მეტაქსაკისის სარდლობით, **საბერძნეთის ჯარის ერთი ნაწილი აჯანყდა** დღევანდელი მთავრობის წინააღმდეგ. აჯანყების ჩასაქრობად გაიგზავნა საბერძნეთის ჯარის მეორე ნაწილი. ათინიდან 40 მილის მანძილზე მათ შორის ბრძოლა მოხდა. აჯანყებული ჯარი სასტიკად დაამარცხეს და გაჰფანტეს. საბერძნეთში ისევ გამოცხადდა საალყო წესები.

დავეხმაროთ გერმანიის პროლეტარიატს

გერმანიის პროლეტარიატის დამხმარე ცენტრალურ კომისიისაგან.

ყველა პარტიულმა, საბჭოთა, პროფესიონალურმა და სხვა ორგანიზაციებმა მომავალშიაც უნდა ენერგიულად გააძლიერონ კამპანია გერმანიის პროლეტარიატის დახმარებისა, მაგრამ ხსენებულმა ორგანიზაციებმა მთელი შეგროვილი ფული დაუყოვნებლივ (არა უგვიანეს ა. წ. 3 ნოემბრისა) უნდა გადაუგზავნონ გერმანიის პროლეტარიატის დამხმარე ცენტრალურ კომისიას, გაზ. „კომუნისტი“-ს რედაქციაში ამხ. გოგოტიშვილის სახელობაზე.

გაზ. „კომუნისტი“-ს რედაქციას

ამხ. ფ. ლაბაძის და გ. ჯობაძის საპასუხოდ შემომაქვს 1 ჩერვონეცი გერმანიის მებრძოლ პროლეტარიატის დასახმარებლად და ვიწვევ შემდეგ პირებს ქიათურიდან: ისაკი მიქაძეს, კოლია ჩხეიძეს, ვლადიმერ ბარ. წერეთელს, გრიშა კონსტ. ლეჟავას, მიშა ლაბაძეს, თამარა ლეჟავას, ლიზა მამაგეიშვილი ჰეჰანაძისას, პარმენ წერეთელს და გოტია ჩხეიძეს.

ანეტა ჩიხელიძე.

პ. დვალის გამოწვევის გამო შემომაქვს 1 ჩერვონეცი გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: მოსე ვარამაშვილს, ნიკო აირაპეტოვს, ალექსანდრე ჭანკიევს, სერგო თავდიშვილს, სერგო აივაზოვს, კოტე გოგოლაშვილს, ფაშა ჩახნაშვილს, ილიკო სარაჯიშვილს, შალვა ტატიშვილს, შაქრო მოსულოვს; იმედი მაქვს, რომ თუ მეტი არა თითო ჩერვონეცი მაინც შემოიტანონ ჩემ მიერ გამოწვეულმა ამხანაგებმა.

ვასილ თათეიშვილი.

ამხ. ტერენტი შარიქაძის გამოწვევით შემომაქვს ერთი ჩერვონეცი, რომლის გამო მოუწოდებ შემდეგ პირთ, რომელთაც ვაძლევ ნებას შემოიტანონ შეძლებისა და სურვილისამებრ. ქიათურიდან: ინჟ. ხუნდაძეს, ინჟ. გოგავას, ექ. გამ- ინჟ. ტურიანს, ხირურგ ხუნდაძეს, ხირ. ჰეჰანაძეს, ექ. წერეთელს, ექ. გამრეკელს, ექ. ბეჟუაშვილს, „ჩემოსავან“ ჯაფარიძეს, მრეწველებს: ჯ. აბაშიძეს, ნესტორ წერეთელს, ირაკლი წერეთელს, ვანო თევზაძეს, სერგო დუდუჩავას, ნიკო ოთხმეზურს, ბათლომე კეკელიძეს, იესე შარაშიძეს, ხაზინ. გოგნაძეს ბანკ. ზირაქიშვილს, ინსპ. რამინიშვილს, სონა და ანდრო კობიძეებს, გრიშა სისიასძე ლეჟავას.

ოზურგეთიდან: თეოფილე და ბიკტორ მენაბდეებს, ეფემია და ალმასხან კალანდაძეებს, ვარდო დ ტიტიკო ჩხატარაიშვილს, კაკი დ ინჟ. ჩიხოვს, ექიმ ვანო და ქსენია უჯმაჯურიძეს, ალექსანდრა და ვლადიმერ გიორგაძეს, ნობელან და შაშა ხუნდაძეებს, ექიმ კალანდარიშვილს, ექიმ შაქარიშვილს, ნოტარიუსს გრ. ჩიჩუას, გ. ანთელიძეს, გ. ქუთნიას, ლეოლინე შარაშიძეს, გიორგი სალუქვაძეს, ნინა ლლონტის ჯინჭარაძის ასულს, გიორგი ჯინჭარაძეს, თეკლე და კოლია დოლიძეს, მირიან ბარამიძეს, ექიმ ვაშაკიძეს, ი. ჩიგოგიძეს, ანტონ მუჯირს, გრიგოლ პატარაიას, დათიკო ნიკოლაიშვილს, მიხაკო ჯინჭარაძეს.

მარო და ტარასი მგალობლიშვილები.

ამხ. ფ. ლაბაძის საპასუხოთ შემომაქვს ერთი ჩერვონეცი გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს. თბილისიდან: სანდრო იაშვილს (ა. კ შრომის კომისარი), ვიქტორ ცინცაძეს, კალენიკე იაშვილს (რევტრიბუნალი), პეტრე ჯალალანიას (ჩეკა), ვასილ კვინტრაძეს (საგაზეთო ტრესტი), ვალერიან გოგიბერიძეს (ს. კ. პ. საკონტრ. კომისია), მიხა მხიტაროვს, თურმანიძეს, ოსიპოვს (ს. პ. კ. ს.).

ქიათურიდან: სამთამადნო კავშირის ყრილობის მთელ შემადგენლობას, დიმიტრი მელქაძეს, პაპუკ მიშველიძეს და ვანო ლომთათიძეს, ახალ სენაკიდან: ალექსანდრე ოჩიგავას (სამპროფბიურო)—მე ღრმადა ვარ დარწმუნებული რომ ისინი არამც თუ ამ მცირედ წვლილს, თავსაც არ დაიშურებენ გერმანიის რევოლიუციონური პროლეტარიატის გამარჯვებისთვის.

კირილე ბარამიძე.

ამხ. კ. სტურუას და ვ. ქურულიას გამოწვევით შემომაქვს გერმანიის მებრძოლ პროლეტარიატის სასარგებლოთ ერთი ჩერვონეცი და ჩემის მხრივ ვიწვევ ზუგდიდელ ამხანაგებს და მოქალაქეებს: ი. ცხაკაიას, გ. რომგავას, მ. მიმინოშვილს, ვ. ჩხეიძეს, დ. ცხაკაიას, ტ ლაგვილავას, მ. შელიას, ი. ჯანაშიას, ბ. ბიქვაიას, კ. მიქაიას, ს. როგავას, ვ. ზაქარაიას, მ. ხვიჩიას, ა. ქირიას, ა. თოლორაიას, ვ. სიჭინავას, ბ. თოდრიას, პ. მამფორიას, მ ესართიას, პ. იზორიას, ე. უბირიას. პ. შენგელიას, ქალთა განყოფილების გამგეს ამხ. შელიას, პ. კობახიძეს, ჯვებე გოგოხიას და დათიკო თოლორაიას ექიმებს: იასონ მუჯირს, ა. პატარაიას, ა. დგებუაძეს, ძ. ჩხოლარიას

ბეგი ბერია.

ამხ. ამხ. სერგო მეგრელიშვილის, აკაკი ქავთარაძის და გრიშა მეუნარგიას გამოწვევით შემომაქვს ერთი ჩერვონეცი გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ. ჩემის მხრით ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს ფოთიდან: გრიშა მიმინოშვილს, ლევან ბახუშვილს, დათიკო მუჭერიას, ზოსიმე ხუხიას, ილარიონ და გრიგორი უჩანეიშვილებს, შალიკო ჯალაღანიას, ვლადიმერ ქკუასელს, იასონ დოლბაიას და ივანე ფირცხალავას.

სოხუმიდან—სევერიან კუხალეიშვილს, კოლია აქირთავას, ერმინე დამენიას და პროკოფი ჯანაშიას. ბორჩალოდან—[illegible] ქებურიას. ახალქალაქიდან გესო შოგირაძეს და ერმინე ჯაკონიას. ქუთაისიდან—მიშა გახოკიას, ერასტო როდონაიას, და [illegible].

ზუგდიდიდან—მელიტონ ხვირავას, არეთან ხუხუნს, პროკოფი ჯოჯიკიას, ვლადიმერ როგავას, გრიგორი ბასილაძეს, მალაქია ცხადაიას, გერმანე ჯაკონიას, გრიგოლ ჩიჩუას, ბეგლარ გეგეჭკორს, თომა ჩხეტიას, ანდრო თოლორაიას, ზუგდიდის ფოსტელის უფროსს ქვარაიას, მეხანიკ ჯოჯუას, კომუნალური განყოფილებიდან ტეხნიკ ცხაკაიას და ამბროს ნაჭყებიას.

ტფილისიდან—კალისტრატე კობახიძეს, კოლია მაჭავარიანს, ჭიჭიკო რაფავას, გიორგი როდოფინოვს, ვანო მახარაძეს, ერმალო დიდიძეს, ეტიხ თოფურიძეს, ვანო კარგარეთელს, გიორგი ტაბატაძეს, შალიკო ნიკოლაიშვილს, ალექსანდრე ჯაფარიძეს, გრიშა ჩანტლაძეს, გრიგორი ჯანელიძეს და მიშა ასანიძეს.

ვანო ნიკოლაიშვილი.

ამხ. გ. გოგოტიშვილის საპასუხოდ შემომაქვს ასი მილიონი მანეთი გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ, და ჩემი მხრით ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: მ. ვარამაშვილს, (სიღნაღის პარტ. მდივანს), სიღნაღში მცხოვრებ ყველა პასუხისმგებელ ამხანაგ კომუნისტებს და პატიოსან მოქალაქეებს. გთხოვთ ჩემი ქალარით, დაეხმარეთ თავისუფლებისთვის მებრძოლ გერმანიის პროლეტარიატს; მათი განთავისუფლება მთელი მსოფლიოს პროლეტარიატის განთავისუფლებაა კაპიტალის ბჭყალებიდან.

მიხ. ჩოდრიშვილი.

თანახმად მოქ აბაშიძის გამოწვევისა ვადგენ ას მილიონ მანეთს ა | კ ბონებით გერმანელ მებრძოლ პროლეტარიატის სასარგებლოდ. ჩემის მხრივ ვიწვევ გიორგი გორდაძეს და მიტროფანე რუხაძეს.

მიტროფანე ლადიძე.

გიგზავნით ამასთან ერთად ერთი ჩერვონეცის ღირებულებას სამოცდა თერთმეტ მილიონ ხუთას ათას (71.500000) მანეთს და ვიწვევ ჭიათურის ფირმის „კარუტო“-ს მოსამსახურეებს: იაკინთე მიქაძეს, გაროტს, ტარიელ აბდუშელიშვილს [illegible]ლია გველესიანს.

ხუფე შეიშვილი.

ამხ. კლემენტი სულავას საპასუხოთ შემომაქვს ერთი ჩერვონეცის ღირებულება—65 მილიონი მანეთი გერმანიის მუშების დასახმარებლად; ჩემის მხრივ ვიწვევ თითო ჩერვონეცით შემდეგ პირებს:

ჭიათურიდან საექიმო საზოგადოების თანამშრომელთ: თარხან ჯაყელს, აკაკი კაკაბაძეს, შალვა რამიშვილს, სერ. სიხარულიძეს, ევსევი ებანოიძეს, პან. ტყემალაძეს, ნიკ. ნანეიშვილს, ნიკ. ქუთათელაძეს, ვლად. ქუთათელაძეს, დომ. ბუაძეს, ვლად. ზარბაქაძეს.

„კარუტო“-ს თანამშრომელთ: ანდ. კრაუსს, დავ. მაჭარაძეს, იაკ. მიქაძე, ნიკ. გველესიანს, აკ ლოლომერიძეს, ტარ. აბდუშელიშვილს.

„ეპო“-დან: ნიკოლოზ გრ. ბუაჩიძეს, ივანე ლომთათიძეს, გ. ლოლაძეს, გ. გურულს, შალ. გურულს.

ბათომიდან: ნატალია ფირცხალავას, ლეონტი ფირცხალავას, ათანას შარაშენიძეს, ვას. ელიაძეს, სერ. ფირცხალავასას, სერ. იმნაძეს, ისიდ. შარაშენიძეს, ლევან ლლონტს, ბათლომე წილოსანს.

ღრმათ დარწმუნებული ვარ, რომ ბათომელები თითო ჩერვონეცს დაგვიჯერებენ.

ანდრო კობიძე.

ამხ. კლემენტი სულავას გამოწვევაზე შემომაქვს 60.000.000 მან. და ჩემის მხრივ ვიწვევ ჩემს კარგ ამხანაგებს: ნიკო ბუაჩიძეს, ვანო ლომთათიძეს, ნიკო ცირეკიძეს, ვანო მოდებაძეს, იაკინთე მიქაძეს, აკაკი ლოლობერიძეს და ტარიელ აბდუშელიშვილს. ვიმედოვნებ, რომ ამხანაგები არამც თუ აღნიშნულ თანხას, არამედ უფრო მეტსაც გამოიღებენ ასეთი დიადი მიზნისათვის.

დიმიტრი მელქაძე.

შემოვიდა 25 ოქტომბერს:

1) ა. ჩიხელიძე 1 ჩერვონეცი, 2) ვ. თათეიშვილი 1 ჩერვონეცი, 3) მარო და ტარასი მგალობლიშვილები 1 ჩერვონეცი, 4) კ. ბარამიძე 1 ჩერვონეცი, 5) ბ. ბერია 1 ჩერვონეცი, 6) ვ. ნიკოლაიშვილი 1 ჩერვონეცი, 7) [illegible] 100,000,000 მან., 8) [illegible] 100,000,000 მან., 9) [illegible] ქეიშვილი 71,500,000 მან., 10) ა. კობიძე 65,000,000 მან., 11) დ. მელქაძე 60,000,000 მან., 12) გ. მგალობლიშვილი ერთი ვერცხლის პორტსიგარი.

სულ: 6 ჩერვონეცი, ერთი ვერცხ. პორტსიგარი და 396.500.000 მანეთი

წინეთ შემოსულით: 265 ჩერვონეცი, ნახევ. გირ. ინგ. სტერლინგი, 11 ოსმალური ქაღ. ლირა, 1 ოქროს ჯვარი, 7 ოქროს ბეჭედი, 2 ოქროს სამაჯური, 1 ოქროს საგულე, 1 ვერცხ. ჩაის კოვზი, 15 ვერცხლის მანეთი, 2 ვერცხლის პორტსიგარი და 4 779 232.000 მანეთი.

ბულგარეთის ამბები

ბულგარეთის რევოლიუციის პაპა ცოცხალია.

ვენა. 23 ოქტ. ბულგარეთის ტელეგრაფის სააგენტო ოფიციალურათ იუწყება, რომ ბლაგოევი ცოცხალია.

ბულგარეთის მინისტრები სამარცხვინოთ ზეიმობენ.

ვენა. 23 ოქტ. დასრულდა გამოძიება ბულგარ. კომპარ. 70 ბელადისა რომელთაც ბრალად ედებოდათ სახელმწიფო ღალატი, მათ შორის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის წევრებიც არიან. ბულგარეთის სოციალ-დემოკრატიის პრეზიდიუმმა გამოიტანა რეზოლიუცია, რომლითაც მოითხოვს აჯანყების ორგანიზატორთა დასჯას.

ჯავრს იყრიან რევოლიუციონერებზე.

ვენა. 23 ოქტ. ბულგარეთის ზოგიერთ ქალაქებში დაიწყო მეამბოხეთა გასამართლება. ვარნის სამხედრო სასამართლომ გლეხთა ყოფილ დეპუტატებს პოპოვს და მიხაილოვს მიუსაჯა 15 წლით ციხეში დაპატიმრება და 13 წლით უფლების აყრა.

დიმიტროვის წერილი ამსტერდამის ინტერნაციონალის და პროფინტერნის მიმართ.

ვენა. 24 ოქტ. ბულგარეთის პროფკავშირთა გაერთიანების მდივანმა დიმიტროვმა მიმართა ამსტერდამის ინტერნაციონალს და პროფინტერნს წერილით, რომელშიაც **იტყობინება რკინისგზელების, ფოსტის მოსამსახურეების, მასწავლებლების და სამთომადნო მუშების შევიწროების შესახებ. წერილში ნათქვამია: „სამხედრო სასამართლოებს გამოაქვთ მათ წინააღმდეგ მხოლოდ სიკვდილით დასჯის განაჩენი“.**

დიმიტროვი მოუწოდებს ორთავე ინტერნაციონალს პროტესტი განაცხადონ თეთრი ტერორის წინააღმდეგ ბულგარეთში და გამოვიდნენ ბულგარეთის პროლეტარიატის დასაცავად.

ოქტომბრის რევოლიუციის ექვს წლის თავისათვის

(თეზისები)

1. ოქტომბრის რევოლიუციის ექვსი წლის თავს საქართველოს და მთელი ამიერ-კავკასიის მშრომელი მასები განსაკუთრებულ პირობებში დღესასწაულობენ:

დასავლეთ ევროპაში ვითარდება უდიდესი ბრძოლა პროლეტარიატისა ბურჟუაზიასთან და მის ფაშისტურ ბანდებთან. მუშათა კლასი კვლავ გადადის შეტევაზე, რევოლიუციონური ქარიშხალი კვლავ მოახლოვებულია.

ეს მომენტი განსაკუთრებულ ხასიათს აძლევს ჩვენს ოქტომბრის ზეიმს, რომელიც ჩატარდება გერმანიის რევოლიუციის და მთელი ქვეყნის მშრომელთა სოლიდარობის ნიშნის ქვეშ.

2. ოქტომბრის რევოლიუციის როლი და მნიშვნელობა კოლოსალურია. ოქტომბერში რუსეთის პროლეტარიატმა პირველათ შეანგრია კაპიტალისტური მსოფლიოს ფრონტი.

ოქტომბრის გადატრიალებით გაიხსნა მსოფლიო ისტორიის ახალი ფურცელი; მხოლოდ პროლეტარიატმა დაისახა მიზნათ წარმოებისა და განაწილების წესების ანარქიული სისტემის მოსპობა. კაპიტალისტურმა საზოგადოებამ განიცადა პირველი, სერიოზული შერყევა. ისტორიის ბორბალი ასცილდა კაპიტალისტური განვითარების რელსებს და რუსეთის პროლეტარიატმა მისცა მას ახალი მიმართულება. იწყება მთელი ეპოქა მნიშვნელოვანი ისტორიული ცვლილებებისა, რომელსაც თან ახლავს მრავალი საფრთხე, დამარცხებანი და გამარჯვებანი.

3. ბურჟუაზიულ მსოფლიოს არ შეეძლო შერიგებოდა კაპიტალისტური ფრონტის გარღვევის ფაქტს. ის გრძნობდა და გრძნობს მოახლოვებული სიკვდილის საფრთხეს და ამიტომ არ შეეძლო არ მიეღო ზომები რევოლიუციონური ქარიშხალისა და ტალღის განვითარებისათვის საზღვარის დასადებათ.

ოქტომბრის შემდეგ მთელი მსოფლიო აშკარათ გაიყო ორ ბანაკათ: ერთ მხარეზე დადგა ახალი რევოლიუციონური სოციალისტური რუსეთი, სავსე რევოლიუციონური გატაცებით, და მისწრაფებებით; მეორე მხარეზე დადგენ ყველა დანარჩენი კაპიტალისტური ქვეყნები რუსეთის კონტრ-რევოლიუციის დამატებით, რომელ აც ერთბაშად გამოუცხადა სამოქალაქო ომი ახლად ჩასახულ სოციალისტურ ქვეყანას.

4. სამოქალაქო ომის ეპოქა დიდხანს გაგრძელდა და მრავალი მსხვერპლი შეიწირა.

მშობლიური და უცხოეთის კონტრ-რევოლიუცია სძარცვავდა და სპობდა ყველაფერს. ის აფეთქებდა რკინის გზის ხიდებს, სწვავდა ფაბრიკებს, ქარხნებს, სოფლებს და სხვა...

ამ სასტიკი სამოქალაქო ომიდან გამარჯვებული გამოვიდა მუშათა და გლეხთა ძალაუფლება. ეს გამარჯვება ერთის მხრივ იყო რუსეთის მუშათა კლასის და გლეხობის გმირული ღონისძიებების და ბრძოლის და, მეორეს მხრივ—დასავლეთ-ევროპის პროლეტარიატის მიერ მხარის დაჭერის და დახმარების შედეგი. ოქტომბრის რევოლიუციის ტალღები მოიდვენ დასავლეთსაც და ჩვენ იქ ვხედავთ მთელ რიგ აჯანყებებს. ზოგიერთ ადგილებში მუშებმა თავის ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება (უნგრეთი, ბავარია და სხვა), მაგრამ სოციალ-დემოკრატების მოღალატეობის გამო, რომლებიც მუდამ განიცდიან რყევას რევოლიუციასა და კაპიტალს შორის, ეს ძალაუფლება დროებით იქნა დამხობილი.

5. პოლონეთთან ომის შემდეგ იწყება შედარებით მშვიდობიანი ხანა რუსეთის რევოლიუციის განვითარებაში. კაპიტალისტური სახელმწიფოები იძულებული გახდენ ანგარიში გაეწიათ საბჭოთა მთავრობის რეალურად არსებობის ფაქტისათვის. იწყება დასავლეთ ევროპის ქვეყნებსა და რუსეთს შორის კავშირის დამყარების ცდები, იწვევენ კონფერენციებს, თათბირებს (გენუა, ჰაგა და სხვა), რომლებზედაც კაპიტალისტური მთავრობები იძულებული გახდენ მოეწვიათ ჩვენი დელეგატები. მაგრამ ამ კონფერენციაზე შეთანხმება არ იქნა მიღწეული. ამის მიზეზები უნდა ვეძიოთ იმ მხარეების ბუნებაში, რომლებიც უნდა შეთანხმებულიყვენ. კაპიტალისტებს არ სურთ იცნონ საბჭოთა რუსეთი და აწყობენ სხვადასხვა ინტრიგებს მის წინააღმდეგ.

მეორე მხრივ ჩვენი მთავრობა მტკიცედ სდგას ოქტომბრის მონაპოვართა პოზიციებზე და არ იხევს უკან.

6. მაგრამ თუ რევოლიუციის პერიოდში საბჭოთა რესპუბლიკა გაიზარდა საკმაოთ განმტკიცდა, მეორე მხრივ კაპიტალისტური ევროპის დაშლა უფრო და უფრო ღრმავდება. ვერსალის ზავი, რომელიც მოიცავს გერმანიას, ავსტრიას და სხვა დამარცხებულ სახელმწიფოებს, არ წარმოადგენს მსოფლიო კონფლიქტის გადაჭრას—ბურჟუაზიული ქვეყნები უფრო და უფრო გაიხლართებიან წინააღმდეგობებში. გრძნობს რა თავის აუცილებელ დაღუპვას, დასავლეთ ევროპის ბურჟუაზია ხელს უწყობს ფაშისტური მოძრაობის განვითარებას, რომელიც მიზნათ ისახავს ბურჟუაზიული დიქტატურის დამყარებას და პარლამენტარული რეჟიმის გაუქმებას. ამ მდგომარეობამ კიდევ უფრო გაამწვავა საკითხი დასავლეთ-ევროპის კლასებს შორის. ფაშისტების გამარჯვება საფრთხეს უმზადებს პროლეტარიატის ფიზიკურ არსებობას. ფაშისტების გამარჯვება გამოიწვევს პარიზის კომუნის ტრაგედიის განმეორებას უფრო ფართო მასშტაბით. ამიტომ მუშათა კლასი გმირულ ბრძოლას აწარმოებს ფაშიზმთან.

7. კლასებს შორის გამწვავებული ბრძოლის პროცესი ყველაზე ნათლად ჩანს გერმანიაში. გერმანია ვერსალის ზავის შემდეგ ჩავარდა კოლონიალური ქვეყნის მდგომარეობაში. ის იძულებული გახდა დამორჩილებოდა ბრძანებებს პარიზიდან და ლონდონიდან. გერმანიას დაადვეს მძიმე სარეპარაციო ტვირთი—226.000.000.000 ოქროს მარკა, რომელიც მას უნდა გადაეხადა 1963 წლის პირველ მაისამდე. ე. ი. 42 წლის განმავლობაში გერმანიის მუშებს და გლეხებს თავისი ნაშრომნაოფლარი უსიტყვოთ უნდა მიეცათ თავისი კლასობრივი მტრების სისხლის დანაშაულის ასანაზღაურებლად. გერმანიამ სარეპარაციო გადასახადების ანგარიშში უკვე შეიტანა 57 მილიარდი ოქროს მარკა, მაგრამ იმპერიალისტურ საფრანგეთს არ აკმაყოფილებს ეს. ყველამ იცის, რომ საფრანგეთში ბევრია რკინა, მაგრამ რკინის დამუშავება შეუძლებელია უნახშიროთ. რკინას უყვარს ნახშირი, ამიტომ საფრანგეთმა დაიპყრო ნახშირით მდიდარი რურის სამრეწველო რაიონი.

8. რურის საკითხმა ძლიერ გაამწვავა მდგომარეობა გერმანიაში. პასიური წინააღმდეგობის პოლიტიკამ გერმანიის მთავრობა მიიყვანა ფინანსიურ კატასტროფამდე. გერმანიის მარკა ყირამალა წამოვიდა. ერთი ამერიკული დოლარი 1923 წლის ორ იანვარს ღირდა 7,260 მარკა, 3 ივლისს—160,000, 1-ლ აგვისტოს—1,100,000, 3 სექტემბერს—9,708,000, 1-ლ ოქტომბერს—241,000,000, 6 ოქტომბერს—800 მილიონი მარკა, ე. ი. ამ ხნის განმავლობაში გერმანიის მარკა დაეცა 125,000 ჯერ. ამ ჟამად ამერიკული დოლარი ღირს 33 მილიარდზე მეტი. ისტორიას არ ახსოვს ფულის კურსის ასეთი კატასტროფიული დაცემის მაგალითი. გერმანიის მუშების რეალური შრომის ხელფასი მინიმუმამდი დავიდა. ასეული პროლეტარი სიმშილს განიცდის. აუარებელი უმუშევრები დაეხეტებიან ბერლინისა და სხვა ქალაქების ქუჩებზე.

ჩვენს წინაშე დგება გერმანიის რევოლიუციის პრობლემა. მხოლოდ მას შეუძლია გამოიყვანოს ქვეყანა კატასტროფიული მდგომარეობიდან. ეს იქნება კლასიკური პროლეტარული რევოლიუცია, რადგან გერმანია უაღრესად განვითარებული სამრეწველო ქვეყანაა. კლასობრივი დანაწილება გერმანიაში ასეთია:

სამრეწველო მუშები—12 მილიონი კაცი, მრეწველ-პატრონები—ნახევარი მილიონი კაცი, სასოფლო-სამეურნეო მუშები—7 მილიონზე მეტი კაცი, მემამულეები და მსხვილი მეურნეები ერთი და ერთი მეოთხედი მილიონი კაცი. სავაჭრო დაწესებულებების მუშების რიცხვი სამნახევარ მილიონს უდრის, ვაჭრების კი—ნახევარ მილიონს.

ამ ჯგუფებს გარდა არის ნახევრათ პროლეტარების, მოსამსახურეთა ჯგუფები, რომლებიც თავისი ეკონომიური მდგომარეობით ახლო დგანან პროლეტარიატთან. ამ რიგად სჭარბობს პროლეტარიატის კლასი (25—30 მილიონი კაცი).

პოლიტიკურ პარტიების ძალთა განწყობილება გერმანიაში ასეთია:

ერთი მხრივ დგანან ბურჟუაზიული პარტიები, რომელთაგან უკანასკნელ ხანებში ყველაზე უფრო ძლიერდება ფაშისტური პარტია, მეორე მხრივ—პროლეტარული კომუნისტური პარტია, რომელმაც მოიპოვა პროლეტარიატისა და გლეხობის ფართო მასების სიმპატიები. სოციალ-დემოკრატიული პარტია იხრწნება. სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრთა რიცხვი 1,700.000-დან 700.000 ჩამოვიდა. ძლიერდება მემარცხენე სოციალ-დემოკრატების გავლენა, რომლებიც უთანხმდებიან კომუნისტებს (საქსონიაში და ტიურინგიაში) და მათთან ერთად ქმნიან ერთიან მუშურ-გლეხურ მთავრობას. კომპარტიის წევრთა რიცხვი 250 000-დან 350.000-დე გაიზარდა. მოეწყო პროლეტარული თავდაცვის რაზმები, კომუნისტების გავლენის ქვეშ იმყოფებიან გერმანიის ფაბქარკომები (მუშათა დეპუტატების ფაქტიური საბჭოები). გერმანიის შინაური და საერთაშორისო მდგომარეობის გამწვავებას აუცილებლად მივყევართ გერმანიის რევოლიუციის გამარჯვებისაკენ.

10. მაგრამ ამ გამარჯვებას პროლეტარიატი იოლათ ვერ მოიპოვებს, ფაშისტები დიდი ხანია ემზადებიან ძალაუფლებისათვის, მათ გაიმარჯვეს ბავარიაში, კავშირი გააბეს იტალიის ფაშისტებთან და ამზადებენ ნიადაგს ფაშისტური გადატრიალებისათვის მთელ გერმანიაში. შტრეზემანის მთავრობა ხელს უწყობს ამ ცდას, კომუნისტების გააფთრებული დევნით. ფაშისტების გამარჯვება გერმანიაში ნიშნავს პოლონელი პანების თავდასხმას საბჭოთა კავშირზე, ამიტომ ჩვენი საბჭოთა კავშირი ახალი საფრთხის წინაშე იმყოფება. ჩვენი მიზანია საბჭოთა ტერიტორიის დაცვა, რისთვისაც დღევანდელ მომენტში მზად უნდა იყვენ ყველა საბჭოთა რესპუბლიკები.

დასვენების პერიოდით გამაგრებულნი, ჩვენ ღირსეულ პასუხს გავცემთ თავხედ იმპერიალისტებს.

11. მაგრამ თუ 6 წლის განმავლობაში განმტკიცდა ს. ს. რ. კ. საერთაშორისო მდგომარეობა, ამაში გადამწყვეტი როლი ითამაშა საბჭოთა ქვეყნების შინაურმა განმტკიცებამ. ამ პერიოდის განმავლობაში ჩვენ განვლეთ განვითარების რამდენიმე ფაზა. სამხედრო კომუნიზმის ეპოქა ისტორიულ აუცილებლობას წარმოადგენდა. გამარჯვებულ პროლეტარიატს უნდა მოეხდინა მრეწველობის და მიწის ნაციონალიზაცია და უნდა გადაეცა ის მუშებისა და გლეხებისათვის, რათა ამით შეერყია ბრძოლაში გადმოსულ მემამულეების და ბურჟუების ეკონომიური ძლიერება. ფრონტს სჭიროდა პური, ამიტომ შემოღებული იქნა სასურსათო „რაზვიორსტკის“ სისტემა, როცა მთელ ზედმეტ პურსართმევდენ არმიისათვის. შიმშილმა, ტიტველმა, ნახევრათ მშიერმა წითელარმიელებმა, რომლებიც საშინელ პირობებში იბრძოდენ, მაინც გაიმარჯვეს. დაიწყო განვითარების ახალი ეპოქა: სამხედრო კომუნიზმის ეპოქიდან გადავედით მშვიდობიანი აღმშენებლობის ეპოქაში. ეს ახალი პერიოდი, ახალი ეკონომიური პოლიტიკის პერიოდი იწყება 1921 წლის მარტიდან.

12. ახალი ეკონომიური პოლიტიკა გამოწვეული იყო ორი მიზეზით.

პირველი გლეხის მეურნეობის ჩამორჩენილი ფორმით, რომელიც სჭარბობდა რუსეთში და მეორე—მსოფლიო რევოლიუციის ტემპის შენელებით. ჩვენ უნდა გავმაგრებულიყავით ჩვენს პოზიციებზე, გაგვეძლო სანამ დასავლეთ ევროპის პროლეტარიატი ააფრიალებდა აჯანყების წითელ დროშას, მეორე მხრივ ახალი ეკონომიური პოლიტიკის დათმობა იყო წვრილი ბურჟუაზიისადმი, როცა სასურსათო „რაზვიორსტკა“ შეცვლილი იქნა სასურსათო გადასახადით და დაუშვით საქონლის მეურნეობის განვითარება და ფაბრიკა-ქარხნების ნაწილი გავეცით იჯარით; მაგრამ მთავარი გაბატონებული სიმაგრეები: ძალაუფლება, ნაციონალიზაციაქმნილი მრეწველობა, საგარეო ვაჭრობა, მიწა, რკინის გზები პროლეტარიატმა თავისი ხელში დაიტოვა. ამ რიგად ახალ ეკონომიურ პოლიტიკას აქვს თავისი უარყოფითი მხარეები, მაგრამ მას აქვს დადებითი მხარეებიც. ჩვენი მრეწველობა ნელნელა დგება ფეხზე, შრომის ნაყოფიერებამ დაიწყო ზრდა. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს გამოანგარიშებით ჩვენმა მსხვილმა მრეწველობამ 1920 წელს ომის წინ არსებული ფასების მიხედვით დაამზადა 521 მილიონი ოქროს მანეთის საქონელი (100 პროც.), 1921 წელს—528 მილიონი (103 პროც.), 1921—1922 წ.წ.—829 მილიონი (162 პროც.), 192—23 წ.წ.—1118 მილიონის (218 პრ.)

სამოქალაქო ომისგამო სოფლებ გაფანტული და კლასობრივ სახე დ კარგული პროლეტარიატი კვლავ დაუბრუნდა ქარხანას. ნაციონალიზაციაქმნილი წარმოებს ზრდასთან ერთად, ჩვენ ვხედავთ სამრეწველო პროლეტარიატის რიცხვის ზრდასაც: 1922 წლის ოქტომბერში ჩვენ გვყავდა 628.000 მუშა, 1923 წლის იანვარში—714000, მარტში—725,000, მაისში კი—735000. გაიზარდა აგრეთვე მუშების შრომის ხელფასი, რომელიც მიუახლოვდა ომამდე არსებულ ნორმას.

13. საბჭოთა მთავრობამ დიდი ყურადღება მიაქცია განათლების საქმეს. მოხდა სკოლების რეორგანიზაცია. გაიხსნა მთელი რიგი ახალი სასწავლებლები. დიდი ყურადღება ექცევა სპეციალურ განათლებას. სკოლაში შედიან უმთავრესად მუშები და გლეხები. ამრიგად ჩვენ რუსეთში გვაქვს მუშათა უნივერსიტეტების მთელი რიგი. საბჭ. ხელისუფლებამ ააგო აგრეთვე დიდი ძალის ელ ქტრო-სადგურები, გაიყვანა ახალი რკინის გზები, აღადგინა კონტრ-რევოლიუციის მიერ აფეთქებული რკინის გზის ხიდები.

ის ხელს უწყობს გლეხობას და გარდა იმისა, რომ გადასცა მას ყოფილ მემამულეთა მიწების 86 პრო ყოველგვარ დახმარებას უწევს სოფ

სხვადასხვა

ავსტრია

პირველი გემი-რუსეთის პურით დატვირთული.

ვენა. 24 ოქტომბერი. ტრიესტში ჩავიდა პირველი გემი, რომელიც დატვირთული იყო რუსეთის პურით. ავსტრიის სავაჭრო წრეები დიდ მნიშვნელობას აძლევენ რუსეთის პურის ექსპორტის განვითარებას, რადგან რუსეთის ხორბალი უფრო იაფია, ვიდრე ამერიკული, და სრულიად არ ჩამოუვარდება მას ღირსების მხრივ.

ამერიკა.

ჩერვონცები ნიუ-იორკის ბაზარზე.

ნიუ-იორკი. 22 ოქტომბერი. ნიუ-იორკის საფონდო ბირჟის ოფიციალურ ბიულეტენს მოჰყავს ცნობები ჩერვონცების ფასების შესახებ. საბირჟო წრეებში ხაზს უსვამენ, რომ ჩერვონეცი ფასობს უფრო მეტად, ვიდრე რუსეთის ვალიუტა ომამდე.

წითელ ტელეგრამები

რუსეთი.

სარატოვის მენშევიკების კონფერენცია.

სარატოვი. 25 ოქტომბერი. ყოფილ მენშევიკების კონფერენციამ დაადგინა გააუქმოს მენშევიკური ორგანიზაცია და აზრი გამოსთქვა შეუერთდეს კომინტერნსა და რუსეთის კომპარტიას.

არჩეულია ბიურო ყოფილ მენშევიკთა სრულიად რუსეთის ყრილობის მოსამზადებლად.

სასოფლო სამეურნეო გადასახადის გამოანგარიშება ჩერვონცებში.

მოსკოვი. 25 ოქტომბერი. შრომისა და თავდაცვის საბჭომ დადგენილება მიიღო, რომლის ძალითაც პირველ დეკემბრიდან მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ფულის ნაწილი აკრეფილ უნდა იქნეს ჩერვონცების კურსის მიხედვით.

საჰაერო მიმოსვლა.

მოსკოვი 25 ოქტომბერი. შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაამტკიცა საჰაერო მიმოსვლის ხაზი მიმდინარე წლისათვის—ხარკოვი—ოდესა; მომავალ წელში—მოსკოვი—პეტროგრადი—დასავლეთის საზღვარი და ტფილისი—სამხრეთის საზღვარი, ტფილისი—ბაქო, ტაშკენტი—ვერნი, ბუხარა—დიუშამბე და ბუხარა ხივა; 1925 წელში—ყაზანი—სარატოვი, სარატოვი—ხარკოვი—კიევი და ირკუტსკი — ვერხნეუდინსკი — ურგა; 1926 წელში—ვლადივოსტოკი—ხაბაროვსკი და სარატოვი—ასტრახანი.

უკრაინა

ახალგაზრდათა კომკავშირის 90 წევრი—მეზღვაურები.

ოდესა. 25 ოქტომბერი. ახალგაზრდათა კომკავშირი შეუდგა იმ წევრების სიის შედგენას, რომელნიც გაიგზავნებიან შავი ზღვის ფლოტში. ოდესის ორგანიზაცია გაგზავნის 90 კაცს.

გერმანია საყოველთაო გაფიცვის წინ

„პრავდა“-ს წერილი

მოსკოვი. 24 ოქტომბერი. „გერმანიის ნაწილებათ დაყოფა უკვე დაიწყო. გერმანია უკვე დაიყო რამოდენიმე სახელმწიფოთ, აქედან ზოგი წმინდა შავრაზმულია, ზოგი დემოკრატიის ელფერის მქონე და ზოგიც თითქმის წითელი. კლასობრივი ბრძოლა მზადდება სამხედრო-ტეხნიკური მხრივ გერმანიის სხვადასხვა ნაწილებს შორის. ომი უკვე დაიწყო და ჰპოვა თავისი გამოხატულება საქსონიაზე თავდასხმაში. საჭიროა ყოველივე ძალების დაჭიმვა, უდიდესი ერთსულოვნება, რათა მოგერიებულ იქნეს მოწინააღმდეგების თავდასხმა. ძლიერ სამწუხარო სიმპტომს წარმოადგენს მემარცხენე სოციალ-დემოკრატების საბოტაჟი. მუშათა მთავრობა, რომელსაც უხდება შინაური ბრძოლის წარმოება, ვერ შესძლებს იმ ამოცანების თავის გართმევას, რომლებიც მას დაკისრებული აქვს.

მოწინააღმდეგის გეგმა მდგომარეობს იმაში, რომ დააქუცმაცოს პროლეტარიატის ძალები ნაწილებათ. აქედან გამომდინარეობს აუცილებლობა კონტრ-საერთო გერმანიის გამოსვლების—საყოველთაო სრულიად-გერმანიის გაფიცვის საქსონიის პროლეტარიატის დასახმარებლათ. ეს იქნება სამოქალაქო ომის გართულება.

სამოქალაქო ომის სიგნალი უკვე გასცა ბურჟუაზიამ. გენერლების ხროვა უკვე დაიძრა საომრად. სოციალ-დემოკრატიამ უკვე დალოცა გენერლები და ჯალათები. სასწრაფოთ მომზადება წითელ შეიარაღებულ ძალების, გერმანიის დანარჩენ ნაწილების პროლეტარულ რაზმებთან გაერთიანება—ასეთია მომენტის მორიგი ამოცანები. გადამწყვეტი დღეები გვიახლოვდებიან ელვის სისწრაფით“.

გერმანიის პროლეტარიატის შინაგანი დაბრკოლებანი

ამხ. ზინოვიევის წერილი

მოსკოვი. 24 ოქტომბერი. თავის წერილის ერთ-ერთ თავში—„გერმანიის რევოლიუციის პრობლემები“—ამხ. ზინოვიევი სწერს: „კონტრ-რევოლიუციონური ბანაკი ფიქრობს, რომ გერმანიის კომუნისტები, აიღებენ რა ხელში ძალაუფლებას, დიდხანს ვერ შესძლებენ მის შენარჩუნებას და იძულებული იქნებიან გზა დაუცალონ ფაშისტურ ბურჟუაზიას. ერთ დროს გერმანელი კომუნისტები ფიქრობდენ, რომ გერმანიაში ძალაუფლების ხელში ჩაგდება ადვილი იქნება, მაგრამ მთავარი დაბრკოლებები გამოჩნდებიან შემდეგ. ეხლა საჭიროა ფიქრი თვით ამ ძალაუფლების ხელში ჩაგდებაზე. ეს არც ისე ადვილი იქნება.

საჭიროა აწონ-დაწონოთ გერმანიის რევოლიუციის შინაგანი დაბრკოლებები მისი გამარჯვების შემდეგ. ისინი წარმოადგენენ შემდეგს:

1) სასურსათო კრიზისები—გერმანიის გლეხობის მდიდარი ნაწილი, მემამულეებთან ერთად, დიდ დაბრკოლებას შექმნიან გერმანიის საბჭოთა მთავრობისათვის. ყველაფერი ეს მიიღებს წითელი გერმანიის ბლოკადის სახეს: 2) სამეურნეო დაბრკოლებანი—ნახშირის სიმცირე, ფაბრიკა-ქარხნების დახურვა; 3) უმუშევრობა; 4) შინაური კონტრ-რევოლიუცია: ფაშისტები—კორნილოველები, ვანდეის ოლქები, ფრანკოფილური რეაქციონური სეპარატისტები, კონტრ რევოლიუციონური სოციალ-ბურჟუაზიის ნაშთები, გლეხობის კულაკური ელემენტი; 5) ფინანსიური მხრით გერმანიის საბჭოთა მთავრობა მიიღებს უფრო აუტანელ მემკვიდრეობას, ვინემ რუსეთის საბჭოთა მთავრობამ მიიღო.

მაგრამ მაინც ჩვენ ღრმა რწმენით ვამბობთ, რომ გერმანიის პროლეტარიატი შეინარჩუნებს ხელისუფლებას გერმანიის პროლეტარიატისათვის ქალაქის და სოფლის წვრილი ბურჟუაზიის დახმარება უზრუნველყოფს მცხოვრებთა უმრავლესობის დახმარებას გერმანიის მთავრობისადმი. გერმანიის რევოლიუცია გაითვალისწინებს რუსეთის რევოლიუციის გაკვეთილებს და წვრილი ბურჟუაზიის, ინტელიგენციის, ხელოსნების, საშუალო და წვრილი გლეხობის მიმართ გაატარებს იმ პოლიტიკას, რომელიც შექმნის მათში სიმპატიებს საბჭოთა რეჟიმისადმი. სასურსათო საკითხი დიდ დაბრკოლებებს შექმნის გერმანიის პროლეტარული მთავრობისათვის. ეხლაც კი მუშები ნაწილობრივ იკვებებიან საბჭოთა რუსეთის პურით. ეს პური კი პროლეტარულ გერმანიაში ხომ გაცილებით მეტი შევა.

ნახშირის მხრივ გერმანიის მთავრობას შეუძლია წინადადება მისცეს საფრანგეთის მძიმე ინდუსტრიის წარმომადგენლებს მათვის ნახშირის მიწოდების შესახებ იმ პირობით, რომ უზრუნველყოფილი იქნეს პროლეტარული გერმანიის სახალხო მეურნეობის ინტერესები. შესაძლებელი იქნება ნახშირის შესყიდვა ჩეხოსლოვაკიაში და პოლონეთში.

უმუშევრობას შეამცირებს უმუშევრების ჩაბმა წითელ არმიაში.

კონტრ-რევოლიუციონურ საფრთხეს პროლეტარული გერმანია გაუმკლავდება საბჭოთა რუსეთის მაგალითის მიხედვით.

თუ რუსეთმა, რომლის მოსახლეობა შეადგენს 160 მილიონს, გაიმარჯვა 7—8 მილიონი მუშით,—ცხადია, რანაირ ენერგიას გამოიჩენს გერმანიის 20 მილიონიანი პროლეტარიატი.

გერმანიის რევოლიუციის შინაგანი დაბრკოლება ხვალისათვის, გადატრიალების წარმატებით მოხდენის შემდეგ, იქნება დიდი, მაგრამ არა დაუძლეველი“.

გლეხებო, დაეხმარეთ ბულგარელ ძმებს

გლეხთა საერთაშორისო საბჭოს მოწოდება

მოსკოვი. 24 ოქტომბერი. გლეხთა საერთაშორისო საბჭომ ყველა ქვეყნის გლეხებისადმი გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც ნათქვამია:

„ბულგარეთის გლეხები და მუშები ბურჟუაზიასთან ბრძოლის დროს იბრძოდენ არა მარტო საკუთარი განთავისუფლებისათვის. ბულგარეთის მუშათა და გლეხთა მთავრობისათვის ბრძოლით ისინი ასუსტებდენ და ანგრევდენ გლეხობის და მუშათა კლასის მტრების ფრონტს, ფრონტს მემამულეებისა და ყველა ქვეყნის კაპიტალისტებისას.

ბურჟუაზიის დამქაშებმა სიცოცხლე მოუსპეს 5.000 მეტ გლეხს და მუშას, 15.000 მუშა და გლეხი ციხეში ჰყავთ და ემუქრებიან სიკვდილით დასჯით, 5000 მებრძოლმა შესძლო თავის გადარჩენა და გაქცევა საზღვარგარეთ. მოკლულების, დაპატიმრებულების, საზღვარგარეთ გაქცეულების ოჯახები და თვით დაპატიმრებული ემიგრანტები განიცდიან საშინელ მატერიალურ გაჭირვებას“.

მოწოდება მიმართავს ყველა ქვეყნის გლეხებს დაეჩქარონ უხვი მატერიალური დახმარების გაწევა ბულგარელ ძმებისა და მათი ოჯახებისათვის.

ამიერ კავკასიის [illegible]

საქართველო

დახმარება გერმანიის პროლეტარიატს.

გორი. 24 ოქტომბერი. სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტის და მისი განყოფილებების მოსამსახურეებმა დაადგინეს, გერმანიის მუშათა სასარგებლოდ გადასდონ თითო დღის ხელფასი.

გომის სპირტის ქარხანა.

გომი. 24 ოქტომბერი. საქართველოს ს. მ. ფ. ს. ღვინის ტრესტის სპირტის ქარხანა გომში, რომელიც ზაფხულის განმავლობაში დაუქმებული იყო, ამ დღეებში ამოქმედდება. პირველი ხანისათვის ქარხანა უზრუნველყოფილია ნედლი მასალით. ქარხანაში მანქანების შეკეთება სწარმოებდა. შეაკეთეს ყველა ორთქლის მანქანები, დაამზადეს ჩანები, ხელახლა დაძეკეს იატაკი. ქარხანაში ხანგრძლივად მოსაქმე მუშათა რიცხვი 60-დე იქნება აყვანილი.

აჭარა

ბათომის პროლეტარიატი გერმანიის ამბების შესახებ.

ბათომი. 23 ოქტომბერი. პროფკავშირთა საბჭოს გაფართოებულმა პლენუმმა შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა: „მოისმინა რა ამხ. აკოპოვისა, იმედაძისა და ბერბერაშვილის მოხსენებები საერთაშორისო მდგომარეობისა და გერმანიის ამბების შესახებ, აჭარის პროფკავშირთა საბჭოს გაფართოებულმა პლენუმმა, საქარხნო კომიტეტების, ადგილობრივ კომიტეტების და კავშირის გამგეობის წევრთა თანადასწრებით, დაადგინა: ვითვალისწინებით რა ჩვენი თანამოძმე გერმანიის პროლეტარიატის გაჭირვებულ მდგომარეობას, ფიცსა ვსდებთ დახმარება გაუწიოთ მას ნივთიერად და მზად ვიყოთ მათთან ერთად წინააღუდგეთ ბურჟუაზიასა და ფაშისტების შავ ძალებს და მჭიდრო რაზმებით, გადამწყვეტ ბრძოლაში, საბოლოვოდ გავსრისოთ შავი რეაქცია. გაუმარჯოს პროლეტარულ გერმანიას! გაუმარჯოს მომავალ ოქტომბერს მთელ მსოფლიოში!

ამხ. ბერბერაშვილის წინადადებით, კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ფაშისტების მრავალ რიცხოვან მსხვერპლთ ბულგარეთში.

პარტიული ცხოვრება

ტფ. ალმასკომის ახალგ. კომკავშირის უჯრედში

22 ოქტომბერს, 3 საათზე შესდგა კომკავშირის უჯრედის მორიგი სხდომა, რომელსაც დაესწრო წევრთა დიდი უმრავლესობა.

რუსეთის ახალგაზრდობის კომკავშირის 5 წლის ისტორიის შესახებ მოხსენება გააკეთა რაიონის წარმომადგენელმა; მომხსენებელმა დაახასიათა რ. ა. კ. კ. განვლილი ეტაპები, კომუნისტური კავშირის თანდათანობით ზრდა, ამოცანები წარსულში და აწმყოში.

შემდეგ მოსმენილ იქნა უჯრედის ბიუროს ანგარიში და მოხდა ახალი ბიუროს არჩევნები..

დასასრულ ამხ. ნ. სალირაშვილმა გამოაცხადა, რომ დაუვიწყარ ამხ. ბორის ძნელაძის სურათი, რომელიც ქონდა შეკვეთილი უჯრედს უკვე მზათ არის და ვიდრე მას კედელზედ გავაკრავდეთ სასურველია ჩვენ საუკეთესო ბელადის ხსოვნას ფეხზე ადგომით ვსცეთ პატივი და ერთხელ კიდევ ვსთქვათ: აქ ტფ. ალმასკომის ახკომკავშირის უჯრედი ერთხელ კიდევ იმეორებს, რომ მის გულში არ წაიშლება ხსოვნა თავის საყვარელ ბელადის ამხ. ბორის ძნელაძის, რომლიც ულმობელმა სიკვდილმა ჯერ ისევ ახალგაზრდა მოსტაცა კომუნისტურ ოჯახს, კომკავშირი იძლევა ფიცს, რომ იგი იქნება ღირსეული წევრი იმ მძლავრ და სახელოვან ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირისა, რომლის მამოძრავებელი, სულის ჩამდგმელი და საუკეთესო ხელმძღვანელი იყო ამხ. ბორია. მის ნაანდერძევს, მის მიერ გადმოცემულ ძლევამოსილ-პროლეტარულ წითელ დროშას, რომელსაც ის სდარაჯობდა და რომლის სამსხვერპლოზედაც დაეცა კიდეც, თვითეული ჩვენთაგანი პირნათლად და უმწიკვლოდ მიიტანს საბოლოო გამარჯვების კარებთან იმ ძალით—ენერგიით, რევოლიუციონური სიმტკიცით და გასკეცებული ბრძოლის ცეცხლით ანთებული, რომელიც ახასიათებდა და რომელიც ჩააქსოვა—ძღვნად შესთავაზა თავის საყვარელ კომკავშირს უძვირფასეს ამხ. ბორიამ.

ფეხზე ამდგარი ახალგაზრდობა შეჰყურებდა ამხ. ბ. ძნელაძის სურათს და წრფელი გრძნობით ადასტურებდა მოსმენილ სიტყვებს.

ნინა სალირაშვილი.

ლის მეურნეობის აღდგენაში, სასოფლო-სამეურნეო იარაღების (ტრაქტორები და სხვა) მიწოდებაში. ამა წლის აგვისტოში მოეწყო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ექნება სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის.

14. ნაციონალური საკითხი, რომელიც ყველაზე უფრო კარდინალური საკითხი იყო რევოლიუციაში, ჩვენ სწორათ გადავჭერით. საბჭოთა რესპუბლიკების ნაციონალური ურთიერთობანი, მათი სამხედრო, სამეურნეო და პოლიტიკური კავშირები უკანასკნელ ხანებში ჩამოყალიბდენ და მიიღეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ფორმა.

ჩვენში, საბჭოთა კავშირში არ არიან დამორჩილებული და გაბატონებული ერები. ნაციონალური შურის მაგიერ სწარმოებს შემოქმედებითი მუშაობა, რომელშიც მონაწილეობას იღებენ ყველა ერების მშრომელი მასები, ინტერნაციონალური სოლიდარობის გრძნობით საფსენი.

15. ამ რიგად საბჭოთა რესპუბლიკების პოლიტიკური ეკონომიური მდგომარეობა განმტკიცდა და მტკიცდება ყოველდღე. ჩვენ ვაწარმოებთ ნაციონალიზაციაქმნილი მრეწველობის აღდგენას. მემამულეებს ჩამოერთვა ყველა მიწები და გადაეცა გლეხებს, ვეხმარებით მათ მეურნეობის გაუმჯობესებაში, გავაუმჯობესეთ და ვაუმჯობესებთ მუშების მდგომარეობას. ყველაფერი ეს არ შეიძლოთ არ დაინახათ მუშების და გლეხების ფართე მასებს. ამიტომ ანტისაბჭოთა პარტიებმა დაჰკარგეს ყოველგვარი ნიადაგი. ესერების ყოფილი მრავალრიცხოვანი გლეხური პარტია უკვე აღარ არსებობს რუსეთში. მენშევიკური პარტია გაიხრწნა საბოლოოთ, გაიხრწნა ანარქისტების, კადეტების და სხვათა რიგები. ერთი სიტყვით ყველა ანტისაბჭოთა პოლიტიკურმა პარტიებმა დაჰკარგეს ყოველგვარი გავლენა მასებში. ახლა ს. ს. რ. კავშირში არის მხოლოთ ერთი ძლიერი კომუნისტური პარტია, რომელიც ხელმძღვანელობს ყველა მუშებს და გლეხებს. დიდი ხნით სასურველი მთლიანი ფრონტი მუშებისა და გლეხების, განხორციელდა.

16. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდი ამიერ-კავკასიაში არსებობდენ ნაციონალისტური მთავრობები. მათ დროს ბატონობდა მუდმივი ნაციონალისტური მტრობა და შური. მათი ბატონობის დროს მოხდა ქართველ—სომეხთა ომი, ომი აზერბაიჯანთან, რუსეთთან, აფხაზეთთან, აჭარასთან, ოსეთთან და სხვა. საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის გლეხები ვერ შეუდგენ მშვიდობიან შრომას. საქართველო ქართველებისათვის—იყო მენშევიკების ლოზუნგი, სომხეთი სომხებისათვის, აზერბაიჯანი-აზერბაიჯანელებისათვის, -ბაძავდენ მათ მეზობელი რესპუბლიკების ნაციონალისტები. მენშევიკებმა, მუსავატისტებმა და დაშნაკელებმა საბოლოოთ დაანგრიეს ამიერ-კავკასიის მრეწველობა, მუშები სიმშილობდენ. სოფლის მეურნეობაც თანდათანობით ეცემოდა, მიწა დარჩა მემამულეების და შეძლებული გლეხების ხელში.

17. 1920 წლის 28 აპრილს აზერბაიჯანში, იმავ წლის 2 დეკემბერს სომხეთში და 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში გამოცხადებული იქნა საბჭოთა ხელისუფლება. მიუხედავათ იმისა, რომ აქ მუშათა და გლეხთა ხელისუფლება არსებობს მხოლოდ 2—3 წელიწადი, მაინც დიდი მუშაობაა შესრულებული ამ ხნის განმავლობაში. მუდამ მწვავე ნაციონალური საკითხი საბოლოოთ გადაიჭრა. ამიერ-კავკასიის ყველა ერებმა განახორციელეს სრული თვითგამორკვევის უფლება (აზერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი, აფხაზეთი, აჭარისტანი, სამხრეთ-ოსეთი და სხვა), ნაციონალურ შეტაკებებს უკვე აღარა აქვს ადგილი. ყველა მუშები და გლეხები მუშაობენ სოლიდარულათ და მშვიდობიანათ. ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკების მრეწველობა თანდათანობით ფეხზე დგება. მუშების ძალღონით ამუშავებული იქნა ჩათახის თუჯის ქარხანა, გაიზარდა აგრეთვე შრომის ნაყოფიერება და მუშების რიცხვი. შრომის ხელფასი მიუახლოვდა ომამდი არსებულ ნორმებს, მოეწყო რკინისგზის ტრანსპორტი. გაგვყავს ახალი რკინისგზის ხაზები—მაგალითად ნატანებ-ოზურგეთის. დაიწყო მუშაობა ახალი ელექტრო-სადგურების ასაგებათ—მაგალითად ავჭალის ჰიდრო-ელექტრო-სადგურის. ოქტომბრის დღესასწაულების დროს ამუშავებული იქნება პირველი საქსოვი ქარხანა ქუთაისში.

მიწის საკითხი გადაიჭრა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს. მენშევიკებმა მხოლოდ ნახევრათ გადასჭრეს მიწის რეფორმა და მიწა კვლავ დარჩა მემამულეების და შეძლებული გლეხების ხელში. ჩვენ მივახდინეთ ამ მიწების ნაციონალიზაცია და გადავეცით ის ღარიბებს გლეხობას.

18. ამ ღონისძიებით ჩვენი პარტია განმტკიცდა და მოიპოვა მთელი მუშურ-გლეხური საქართველოს ნდობა. ჩვენი გადახვეწილი ემიგრაცია გაიხრწნა და კარგავს საქართველოში კვლავ გაბატონების იმედს, მათი ნაწილი კი უკვე ისწრაფვის საქართველოში დაბრუნებისაკენ მშვიდობიანი შრომის დასაწყებათ. ამ რიგად საბჭოთა ხელისუფლება მთელ საკავშირო ტერიტორიაზე მაგრდება და მტკიცდება.

19. საბჭოთა ხელისუფლება მუდამ აწარმოებდა და აწარმოებს მშვიდობიან საგარეო პოლიტიკას. ჩვენ ვაშენებთ ახალ სოციალისტურ ქვეყანას, ჩვენ არავისთან არ გვსურს ომი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ მზად არ უნდა ვიყოთ ომისათვის. ჩვენ გარშემორტყმული ვართ კაპიტალისტური ქვეყნებით. ბევრ ქვეყნებში ფაშისტები ზეიმობენ, გერმანიაში ფაშისტები ცდილობენ მთელი ძალაუფლების ხელში ჩაგდებას. გერმანიის ფაშიზმის გამარჯვება ნიშნავს მსოფლიო ფაშიზმის გამარჯვებას და ზეიმს. თუ ეს მოხდა, ისინი თავს დაგვესხმიან ჩვენ, რომ მოსპონ ოქტომბრის რევოლიუციის ყველა მონაპოვარნი. ამ მომენტში ჩვენ ღირსეული სამხედრო პასუხი უნდა გავსცეთ მტრებს. მაგრამ ახლაც, როცა სწარმოებს სასტიკი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გერმანიის მუშათა კლასსა და ბურჟუაზიას შორის, ჩვენ არ შეგვიძლია ვიყოთ ამ ამბების გულხელდაკრეფილი მაყურებელი. საბჭოთა კავშირის მშრომელთა წინაშე დგას სერიოზული ამოცანა—ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ გერმანიის რევოლიუციონურ მასებს. ამაში ჩვენ დიდათ ვართ დაინტერესებული, რადგან გერმანიის რევოლიუციის გამარჯვება ჩვენი გამარჯვებაა. მისი დამარცხება ჩვენი დამარცხებაა.

ჩვენ გაუძლეით ექვსი წლის ბრძოლას შინაური და გარეშე მტრების წინააღმდეგ. მაგრამ ჩვენ შემდეგში არა თუ გაუძლებთ, კიდეც დავეხმარებით აჯანყებულ მსოფლიო პროლეტარიატს.

გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლიუციას!

გაუმარჯოს გერმანიის რევოლიუციას!

გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს!

ს. ქ. პ. სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება.*)

---

*) წინადადება ეძლევა პარტიულ ორგანიზაციებს ამავე დროს ისარგებლონ რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის თეზისებით.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(25 ოქტომბერი).

ჩერვონცები —	73,000
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	66,500
ჩეკები —	61,000
დოლარები ეფექტ. —	14,800
ჩეკები	13.800
ოსმ. ქაღ. ლირა	7.200
იტალიური ლირა	460
ფრანგული ფრანკი	650
საბჭ. ფულის ნიშნები	12

მოსკოვის ფასები.

(25 ოქტ.)

პური 1 ხარ.—400 ათ., პური 2 ხარ.—320, ძროხის ხორცი—1 მილ. ცხვრის ხორცი—1350 ათ., შაქარი რაფინადი 3.100 ათ., ფხვნილი შაქარი 2490 ათ., მაკარონი—1100 ათ., კარტოფილი—100 ათ.

ტფილისის ბაზრის ფასები.

(25 ოქტომბერი.)

პური 1 ხარ. გირ. 450—500 ათასი, პური 2 ხარ.—300, ძროხის ხორცი—1200, ცხვრის ხორცი—1500, შაქარი რაფინადი 3100, ფხვნილი შაქარი 2650, ბრინჯი ალდაშის 680, მაკარონი 1100, კარტოფილი 125—150.

ოფიციალური გარიგებანი.

რუს. ახანთი 16 მ. 70 კ. (ჩერვ.) ფუთში ფრანკო-გამყიდველის საწყობი, აქციზის გადახდით.

გოგირდის სიმჟავე ალაგირის ქარხნისა 2 მ. 40 კ. ჩერვ. ფუთში ფრანკო—სად. ვლადიკავკაზი.

რკინის წერაქვები (кирки) 1 მან. ცალი, ფრანკო გამყიდ. საწყობი.

ბირჟის გარეშე გარიგებანი.

23 ოქტომბერს ბირჟის გარეშე დადებულია 1 გარიგება, სულ 2600 მან. ჩერვ. თანხისა.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

საქონლის ბაზრის საერთო განწყობილება დღეს უცვლელია.

ვალიუტის ბაზრის განწყობილება.

ვალიუტის მოთხოვნილება გაცხოველებულია. როგორც ჩერვონცების, ვალიუტის კურსი საგრძნობლად მატულობს.

ბირჟის მიწოდება.

(25 ოქტომბ.)

ალდაშის ბრინჯი, რუს. ფხვნილი შაქარი, შაბიამანი, ინგლ. კანიფოლი, სპილენძი, ცენტროკავშირის ჩაი, აბრეშუმი (დაურთავი), ტყის მასალა, რუს. მანუფაქტურა, სკიპიდარი ფრანგ. იტალიური მანუფაქტურა, ტომრები, ქიმიური ნაწარმოები, კაუსტიური სოდა, სალომასი, ცემენტი და ეტერნიტი, საპონი, რკინეულობა, მზესუმზირას ზეთი, ელექტრო-მექანიკური მასალა, ფანჯრის მინა.

ბირჟის მოთხოვნილება.

(25 ოქტომბ.)

გოგირდის სიმჟავე, სალომასი, მზესუმზირას ზეთი, აგური, საკანდიტერო ყუბანის ფქვილი, შაქარი რაფინადი, ფხვნილი შაქარი, რუს. ტეხნიკური ცხიმი, აბრეშუმი, ჩაი, ქვამარილი ნახიჩევანის და ბახმუტის ფხვნილი, ძანთი რუს.

ტფილისის საბჭოს პლენუმი

(22 ოქტომბრის სხდომა)

ქალაქისა და მაზრის კეთილმოწყობა

(ამხ. ელენტის მოხსენება)

ქალაქის კეთილმოსაწყობად შემუშავებულ იქნა განსაზღვრული გეგმა, რომლის გატარებას ხელი შეუშალა მთელმა რიგმა მიზეზებმა.

პირველყოვლისა დამკვრელი ამოცანა იყო ქუჩების მოკირწყვლა და ზოგის ხელახლა მოკირწყვლა ქალაქის განაპირა ადგილებში, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მუშა-სპეციალისტები არ კმაროდენ. ამის გარდა ის ქუჩები, რომლებზედაც ჩვეულებრივ საბარგო ტრანსპორტი მოძრაობდა, სრულებით უვარგისი გახდა და ტრანსპორტმა მთავარ ქუჩებზე იწყო სიარული, სადაც ტრამვაის მთავარი მაგისტრალი გადის. ამ ქუჩების გაფუჭების თავიდან ასაცილებლად აუცილებლად საჭირო გახდა ქუჩების შეკეთება საბარგო ტრანსპორტისათვის და ეს შესრულებულიც იქნა. საერთოდ მოკირწყლული არის 14,000 კვ. საჟენი.

შემდეგ წარმოებულ იქნა სახლების შეკეთება; აღდგენილ იქნა ერთი ბორანი, ხოლო მეორე უკვე მზადაა და ამ დღეებში ამუშავდება. ტყის გაშენების მთელი რიგი სამუშაობი ნიაღვრებთან ბრძოლის მიზნით წარმოებული იყო სატყეო-საკულტურო სექციის მიერ. დიდი მუშაობა იქნა წარმოებული სუნქების თხრილის გასამაგრებლად.

არ დარჩა უყურადღებოდ მაზრაც. მოწყობილია ერთი საავადმყოფო; შეკეთებულია 154 სახლი კოჯორსა და კიკეთში, რომელთაგან 35 სახლში ბავშვები სცხოვრობენ, ხოლო დანარჩენთა ექსპლოატაცია სწარმოებდა. შეკეთება იმდენად საფუძვლიანად იქნა შესრულებული, რომ 5—6 წლის განმავლობაში ხელახალი შეკეთება აღარ იქნება საჭირო. აგარაკების ექსპლოატაციისაგან მიღებულ იქნა 11 ათასი მან.

პლენუმმა დაადგინა მოხსენება მიღებულ იქნეს ცნობისათვის და მუშაობა დამაკმაყოფილებლად იქნეს ცნობილი.

საბინაო ქირის შესახებ.

ამხ. მესხი აცნობებს სხდომას, რომ საბინაო დეკრეტის გამოცემის შემდეგ საჭირო გახდა საბჭოს დადგენილება საბინაო ქირის შესახებ დასამტკიცებლად იქნეს წარდგენილი. შეტანილია რამოდენიმე ცვლილება—აღმოჩნდა, რომ ტფილისის შენობები თავიანთი ტიპით არ იძლევიან შესაძლებლობას დაკავებულ იქნან ბინები გარდამეტის გარეშე და რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი არსებობენ, ეს სურვილის გამო კი არ ხდება, არამედ იმიტომ, რომ არ არის შესაძლებლობა სხვაგვარად მოეწყონ და ამიტომ განზრახული არის შეცვლილ იქნეს პუნქტი გარდამეტის ჯარიმის შესახებ.

საბჭოს პლენუმი საბინაო ქირის დადგენილების პროექტს პრეზიდიუმის ცვლილებებით ამტკიცებს.

გემო-კვების მუშაკთა კავშირის მუშაობა

სამდივნოს ჰქონია 5 სხდომა, გაურჩევია 36 საკითხი; აქედან საორგანიზაციო საკითხი 9, სატარიფო-ეკონომიური—12, კულტმუშაობის—3, შრომის დაცვის—4 და 8 სხვადასხვა საკითხები.

საორგანიზაციო საკითხები.

საორგანიზაციო მუშაობა გამოიხატა შემდეგით: ჩატარდა 11 საერთო კრება და მოხდა 11 საქარხნო კომიტეტის გადარჩევა. რ. | გზის პურის საცხობების, მეღვინეთა საზ. „კახეთის“ ღვინის საწყობის, არყის სახდელი საზ. трехгорное тов—о-ს რწმუნებულთა მუშაობის სისუსტის გამო, ზემოხსენებული დაწესებულებანი გაერთიანებულ იქნა ერთ საქარხნო კომიტეტში, სადაც დაინიშნა გამგეობის ერთი წევრთაგანი პასუხისმგებელ მდივნად. ქალაქის წისქვილები შეუერთდა მეორე საქარხნო კომიტეტებს. ამ გაერთიანებათა შემდეგ ქალაქში ითვლება 14 საქარხნო კომიტეტი.

საქარხნო კომიტეტების მიერ თავის ფინანსიურ ვალდებულებათა რიგიანად შეუსრულებლობის გამო, მოხდა სარაიონო კომიტეტების დათვალიერება, რომელსაც შედეგად მოჰყვა საწევრო გადასახადების თავის დროზე გადახდის და საქარხნო კომიტეტებში საქმის წარმოების მოგვარება მოწესრიგება

მოწვეული იყო საქარხნო კომიტეტების კონფერენცია. რომელზედაც მოსმენილ იქნა საანგარიშო მოხსენება. საქარხნო კომიტეტებს თავის სამაზრო განყოფილებებთან კავშირი, სოხუმის გარდა, მოგვარებულად უნდა ჩაითვალოს. სამაზრო განყოფილებები არავითარ ანარიცხებს არ გზავნიან ცენტ. გამგეობაში.

ამ საანგარიშო თვეში ახალგაზრდობაში მუშაობა უფრო სისტემატიურ ხასიათს ჰღებულობს. ეწყობა ხოლმე წარმოებებში მომუშავე ახალ. კომ. კავშირის წარმომადგენელთა თათბირი მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსასმენად და მომავალი სამუშაო გეგმის შესამუშავებლათ.

უმუშევრობა.

სახელმწიფო ქარხნებში მომხდარ შემოკლებათა შესახებ შემოსულ განცხადებათა თანახმად, სადაც შემოკლების უმართებულოდ ჩატარების შესახებ ჩიოდენ, შექმნილ იქნა შერეული კომისია, რომლის გადაწყვეტილებით სამუშაოდან მოხსნილ იქნა 20 უფრო უზრუნველყოფილი მუშა და მათ ნაცვლად გაიგზავნა 20 გაჭირვებაში მყოფი უმუშევარი. მოეწყო უმუშევართა ორი კრება, სადაც გაკეთდა მოხსენება უმუშევართა მდგომარეობისა და მის გასაუმჯობესებლად სამდივნოსაგან მიღებულ ღონისძიებათა შესახებ. განზრახულია მომავალშიაც თვეში ერთხელ მოეწყოს ასეთი კრებები. უმუშევართა შორის მუშაობის გასაჩაღებლად არჩეულია კომისია.

კულტმუშაობა.

სექტემბერში შემჩნეულია განსაკუთრებული გაცხოველება კულტ-მუშაობის, რომელიც ზაფხულის განმავლობაში შეჩერებული იყო. ადგილობრივი კულტ-მუშაობის გასაცნობად

მოწვეულ იქნა კულტ-უჯრედთა კონფერენცია. სოციალურ აღზრდის დაწესებულებათა სახ. განათ. კომისარიატისათვის გადაცემა სავსებით არ გატარებულა. არსებულ საბავშვო ბაღიდან ერთი გადაეცა სახ. გან. კომისარიატს, ხოლო მეორის შენახვა იკისრა წითელი არმიის ნაწილმა, (რომელთანაც ბავშვების მშობლებს კავშირი იქვთ). ახაკ გადასულ ბავშვთა სკოლები ჯერ არ გადასულა სახ. გან. კომ—ის ხელში, რის გამო ბავშვები სკოლის გარეშე რჩებიან. კავშირს უსახსრობის გამო, არ შეუძლია მათი შენახვა. წერა-კითხვის უცოდინართა აღრიცხვამ გამოარკვია, რომ მომუშავეთა შორის წ. კ. უცოდინარია 130 კაცი, რომელნიც გაგზავნილ იქნენ ს. პ. კ. ს. მიერ დაარსებულ სარაიონო სკოლებში.

საკლუბო მუშაობა.

გან. სახ. კომისარიატისთვის სკოლების გადაცემის შემდეგ, მთავარი ყურადღება ექცეოდა საკლუბო მუშაობას. კლუბების სიმრავლის (6) გამო მოწვეულ იქნა ერთი სხდომა. მოხდა უჯრედების კლუბებთან ცენტრალიზაცია და [illegible] ვარი ყურადღება ექცევა მათში მუშაობის გაღრმავებას—[illegible] გაუმჯობესებულ იქნა ხელმძღვანელთა შემადგენლობის ღირსება.

სატარიფო ეკონომიური მუშაობა.

დადებულია 5 ახალი კოლექტ. ხელშეკრულება და სატარიფო შეთანხმება. შრომის სასამართლოში გაირჩა 23 კონფლიქტი, რომელიც მუშათა სასარგებლოდ გადაწყდა. ერთი საქმე კოლექტ. ხელშეკრულების შესახებ გადაეცა სამედიატორო სასამართლოს და ორიც შემარიგებელ კამერას—ყველა საქმეები მუშათა სასარგებლოდ გადაწყდა.

დასასვენებელ სახლებში გაიგზავნა 20 კაცი.

მუშათა სახლების დასათვალიერებლად და მისაღებად გამოიყო ცალკე ცენტრალ. კომისია, რომელიც თავის მუშაობას ამ მოკლე ხანში დაასრულებს.

ქრონიკა

— **ოქტომბრის დღესასწაული.** შრომის ბირჟის კომიტეტმა ოქტომბრის რევოლიუციის 6 წლის თავის აღსანიშნავად განიზრახა დაუზღვევ და არაპროფკავშირის წევრ 1000 უმუშევარს აღმოუჩინოს ერთდროული დახმარება.

— **შეღავათი არტელებს.** შრომის ბირჟის კომიტეტმა აღძრა შუამდგომლობა შრ. სახ. კომისარიატის წინაშე არტელების სხვადასხვა შეღავათების მიცემის შესახებ, როგორიც არის საჯარო გადასახადი და სხ.

— **შრომის ბირჟა.** 27 ოქტომბერს აღრიცხვაზე გამოცხადდა—302, ახლად ჩაეწერა—133, გაიგზავნა სამუშევარზე—65 უმუშევარი.

— **გლეხთა კომიტეტების წარმომადგენლების ყრილობა ტფილისის მაზრაში.** სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის შენობაში 4 ნოემბრისათვის დანიშნულია საურთიერთო დამხმარე გლეხთა კომიტეტების წარმომადგენლების ყრილობა საურთიერთო დამხმარე გლეხთა ტფილისის სამაზრო კომიტეტის ასარჩევათ.—

— **სოციალ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის შუამდგომლობის დაკმაყოფილება.** მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა დააკმაყოფილა შუამდგომლობა სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის—ცეცხლისაგან განადგურებული ოზურგეთის მაზრის (სოფ. გუმათის) მცხოვრები ჭინჭარაძისათვის სახლის ასაგებად ხე-ტყის მასალის უფასოთ მიცემის შესახებ.

— **დახმარების აღმოჩენა.** სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა ცეცხლისაგან განადგურებულ შორაპნის მაზრის მცხოვრებს ვ. გაფრინდაშვილს ერთდროულ დახმარებათ მისცა ორასი მილიონი მანეთი და შორაპნის მაზრაში მის რწმუნებულს მისწერა, რომ ზემოაღნიშნულ პირს ცეცხლისაგან განადგურებული და დანგრეული ოჯახის აღდგენაში სათანადო დახმარება აღმოუჩინოს.

— **სასამართლოში.** აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს 3 ნოემბრის 1923 წ. საჯარო სხდომაზე დანიშნულია განსახილველად საქმე სტეფანე მანთაშევის მკვლელობის შესახებ თავის ცოლის ბარბარე მანთაშევის მიერ.

შესვლა სხდომის დარბაზში არის ბილეთებით, რომლის მიღებაც შეიძლება სასამართლოს მდივნისაგან 31 ოქტომბერს.

— **სკოლის გარეშე განათლების მუშაკთა სახლში.** ორშაბათს, 22 ოქტომბერს, სკოლის გარეშე განათლების მუშაკის სახლში დაიწყო მუშაობა ინსტრუქტიულ სკოლაში, რომელიც დაარსდა ხსენებულ სახლთან იმ მიზნით, რომ მოზრდილთა მასწავლებელთ მიეცეს საშვალება დაესწრონ სკოლაში მიცემულ საუკეთესო ხელმძღვანელთა მიერ სამაგალითო გაკვეთილებს სკოლაში დაიარება 30 მსმენელი მუშა-მოსამსახურე. მეცადინეობა სწარმოებს ყოველდღე საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე.

ჯერჯერობით გახსნილია სკოლა წერა-კითხვის მცოდნეთათვის. ამ მოკლე ხანში-კი გაიხსნება საანბანო სასწავლებელიც.

— **ჭავჭავაძისეული მამულის შესახებ.** კახელ მევენახეთა კავშირთ-კავშირის გამგეობამ დაადგინა აღძრას შუამდგომლობა მიწათმოქმედების კომისარიატის წინაშე, რათა სულხან ჭავჭავაძისეული მამული სივრცით 5 დესეტინა გადმოეცეს კავშირთა-კავშირს აღნიშნულ მამულში სანიმუშო ვენახის დასამუშავებლათ.

— **ვენახების დაზღვევა.** ამხ. კავშირთ-კავშირმა დაადგინა აღძრას შუამდგომლობა წარმო-კავშირის წინაშე—მიიღოს საჭირო ზომები აღნიშნულ ამხანაგობის ყველა წევრთა ვენახების დასაზღვევათ.

— **ამერიკულ ვაზების განაწილება.** კავშირთ-კავშირმა დაადგინა არჩეულ იქნას კომისია, დამზადებულ ამერიკული ნამყენ ვაზების წევრთა შორის გასანაწილებლათ. აღნიშნულ ამხანაგობას დაახლოებით დამზადებული აქვს ასი ათასი ნამყენი რქა.

— **სამტრედიის ელექტრო სადგურის აგება.** დამთავრდა სამტრედიის ელექტრო სადგურის აგება, რომელიც ელექტრონის სინათლეს უკვე აწვდის ქალაქს. ახლო ხანში მოხდება სადგურის საზეიმო გახსნა.

— **რიონის ადიდება.** უკანასკნელ ნიაღვრების გამო რიონი საგრძნობლათ ადიდდა. ადიდებულმა მდინარემ მოიტაცა რამდენიმე ბორანი და დაახრჩო მგზავრები.

— **სანიტ-განათლების სახლის გახსნა.** 6 ნოემბერს ჯანმრთელობის კომისარიატის თაოსნობით ზეიმით გაიხსნება სანიტგანათლების სახლი.

— **სპარსეთის გენერალური კონსული ტფილისში.** 23 ოქტომბერს ტფილისში ჩამოვიდა სპარსეთის გენერალური კონსული ნაბილიმ დოვლე.

— **რკინის გზის ახალი ტარიფი მოწაფეთათვის.** პროფგანათლების მთავარ მმართველობამ აცნობა ტფ. ტეხნიკუმების, საკავშირო საბჭოს სატარიფო კომიტეტის დადგენილება, რომლის ძალით მოწაფეებს ტფილის-ქასპის ხაზზე მგზავრობის დროს ეძლევათ 50 პროც. შეღავათი.

— **მასწავლებლები მუსულმანურ სკოლებისათვის.** საქ. არსებულ მუსულმანურ სკოლების ინსტრუქტორმა ამხ. ალი-ზადემ აღძრა შუამდგომლობა განათლების კომისარიატის წინაშე, რათა პროვინციებში მომზადებულ მასწავლებლების უყოლობის გამო, გაგზავნილ იქნენ ცენტრიდან სათანადო ცოდნით აღჭურვილნი მასწავლებლები.

— **სამეურნეო საქმეთა მმართველობის შტატები.** განათ. კომისარიატმა საქ. სახ. კომისართა საბჭოს წარუდგინა დასამტკიცებლად სამეურნეო საქმეთა მმართველობის და მის სამაზრო განყოფილებათა შტატები.

— **ახალი ანბანი მაჰმადიანთა სკოლებისათვის.** განათლების კომისარიატის ინსტრუქტორმა ალი-ზადემ შუამდგომლობა აღძრა საქ. განათლების კომისარიატის წინაშე, რათა დამყარდეს კონტაქტი აზერბეიჯანის განათ. კომისარიატთან საქარ. მაჰმადიანთა სკოლებში თურქული ანბანის შემოღების შესახებ.

— **სამეურნეო საქმეთა გადაცემა.** განათ. კომისარიატთან დაარსებული სამეურნეო საქმეთა მმართველობა შეუდგა სახ. მოსამართლეებისაგან სამეურნეო საქმეების მიღებას სულ მისაღებია 3000 საქმე.

— **იუსტიციის კომისარიატის შტატის გადიდება.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ იუსტიციის სახ. კომისარიატის შტატის გადიდება მიანდო საბჭოთა დაწესებულებების დამთვალიერებელ კომისიას ამხ. ოკუჯავას თავმჯდომარეობით.

— **დამზღვევი სექცია.** შრომის ბირჟის შენობის განტვირთვის მიზნით დამზღვევი სექცია გადატანილია მადათოვის ქუჩაზე № 1.

ხელოვნება

კინო

„წითელი ეშმაკუნები“.

ამჟამად ტფილისში აჩვენებენ განათლების კომისარიატის კინო-სექციის უკანასკნელ სურათს „წითელ ეშმაკებს“.

სურათის შინაარსი აღებულია სამოქალაქო ომის ისტორიიდან;—მას სარჩულად უდევს ბრძოლა მახნოველებსა და წითელი არმიის (ბუდიონნელებს) შორის.

ათი ნაწილის მანძილზე გადაშლილია ამ ბრძოლის საშინელი სურათები, რომელშიაც საბჭოთა იდეისათვის თავდადებული გმირები არაფერს არ ზოგავენ იმისათვის, რომ განთავისუფლონ ბანდიტ მახნოს თარეშისაგან მუშურ-გლეხური სახელმწიფო.

სურათის უმთავრესი გმირებია მუშის ოჯახიდან გამოსული და-ძმა და ერთი ზანგი, რომელიც შემთხვევით მოხვდება ამ ბრძოლის ქარცეცხლში და, გაიგებს რა ბრძოლის დიად მიზანს და დანიშნულებას, მათ ბედიღბალს გადაასკვნის განუყრელათ თავის ბედსაც.

მთელ სურათში მოთხრობილია ამ გმირების (ბუდიონის არმიის მზვერავები) თავგადასავალი, მათი გმირობა და ტანჯვა-წამებანი იმ დრომდი, სანამ ისინი ბრწყინვალეთ არ დაამთავრებენ ამ ბრძოლას.

ამას გარდა სურათში მაყურებლის თვალწინ გაივლიან რევოლიუციის ბელადების სახეები.

სურათი გადაღებულია მხატვრულათ: არის მშვენიერი ადგილები, მაგალითად, ზღვა, ზღვის ნაპირები, წითელი არმიის ბრძოლა მახნოველებთან, მახნოველების ქეიფი, წითელი არმიის აღლუმი და სხვა.

მიუხედავათ იმისა, რომ სურათის შინაარსი წმინდა რევოლიუციონური

მუშათა ცხოვრება

შრომის გმირი მელითონე მიხ. რიბალკინი

სრულიად საქართველოს მელითონეთა ყრილობაზე, რომელიც მოწვეულ იქნება ნოემბრის პირველ რიცხვებში დღიურ საკითხებში სდგას მელითონე შრომის გმირების მილოცვა. ერთ-ერთი შრომის გმირთაგანი არის 69 წლის მოხუცი მუშა-ქედელი, ამხ. რიბალკინი მიხეილ გერასიმეს ძე.

დაიბადა 1854 წ. ადრე დაობლდა. 4 წლის სწავლის შემდეგ სამოქალაქო სასწავლებელში იძულებული იყო შესულიყო შეგირდათ საქტლო სახელოსნოში, სადაც მას უხდებოდა დღეში 12, 14 საათის მუშაობა.

რუსეთიდან ჩამოსულს კავკასიაში ამხ. რიბალკინს სხვადასხვა ქარხნებში უხდებოდა მუშაობა იმავე პროფესიაში კიდევ თვითმპყრობელობის დროს ბურჟუების ხელში. მხოლოდ რკინის გზაზე რიბალკინმა იმუშავა 31 წელი, სადაც მას მანქანაზე გაუტყდა ორი თითი. 1917 წელს, როდესაც დაიწყო რევოლუცია, რიბალკინი უკვე ტფილისში და მუშაობს ჯერ ავლაბრის სახელოსნოში და შემდეგ იაროსლავის ქარხანაში (ამჟამად პირველი საბჭოთა სალითონო ქარხანა) მჭედლად. საქართველოს გასაბჭოების დროს ის მუშაობდა პირველ საბჭოთა ქარხანაში, შემდეგ პირველ ავტოსახელოსნოში, როგორც ქედელი და ბევრი საქმეც აქვს გაკეთებული. მუშებში და კოლექტივში დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა ამხ. რიბალკინმა, რომელიც ყოველთვის პირველთაგანი იყო, და მაგალითს აძლევდა ახალგაზრდობას, თუ როგორ უნდა მუშაობა მშრომელი ხალხის და საბჭოთა ხელისუფლების, როგორც მუშურ გლეხური მთავრობის საკეთილდღეოდ.

„მე მაინც არ ვეცემოდი სულით და არ ვიღუპებოდი სასოწარკვეთილებაში, რადგანაც დარწმუნებული ვიყავი მუშათა კლასის სრულ გამარჯვებაში და უძლეველი ძალა შევიგრძენი საბჭოთა აღმშენებლობის, მას გახსენება და ავყვავდები და დღეს ეს კარგი შედეგი ვარ ჩემი ცხოვრებით“. ამბობს ამხ. რიბალკინი.

თანახმად ლითონის განყოფილების კოლეგიის დადგენილებისა, დღეს, ამხ. რიბალკინი თავისუფალია მუშაობიდან მოხუცებულობის გამო და გადაყვანილია მუშურ საშუალზე, მას სავსებით ეძლევა ჯამაგირი, ძიკა ტანისამოსი და ოთახი და წარდგენილია შრომის გმირობაზე.

ვაშა! შრომის გმირს, ამხ. რიბალკინს! გაუმარჯოს შრომის ფრონტს!

მუშკორი ი. ელიაშვილი

დავეხმაროთ გერმანიის პროლეტარიატს

დღეს, ჩვენ, საბჭოთა რესპუბლიკის პროლეტარიატმა უნდა ვიზრუნოთ განსაკუთრებით მხოლოდ ერთზე, და ეს ერთი არის პირდაპირი ჩვენი მოვალეობა დავეხმაროთ გერმანიის პროლეტარიატს ყოველ მხრივ. გავიხსენოთ ძველი წესწყობილება და მისი წარსული დღენი და მასთანვე პროლეტარიატის დევნა, ტანჯვა-წამება და გაუპატიმრება ჩვენი ოჯახის და სხვა, მაგრამ დადგა დრო და ოქტომბრის რევოლუციამ შესძლო შავი ყორნის მოშორება და ძალაუფლების მშრომელთა კლასის ხელში გადასვლა. დღეს ჩვენ შეგვიძლიან თამამად ვსთქვათ, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ მოგვანიჭა სრული გამარჯვება და მოსპო ყოველივე ფეოდალური ნაშთები. დღეს საბჭოთა რესპუბლიკების მუშათა სასახლეებში ფრიალებს წითელი დროშა, დროშა ჩვენი მებრძოლ ამხანაგების უმანკო სისხლით შეღებილი და მას დარაჯობს წითელი ვარსკვლავი და დიდებულ ვარსკვლავის სხივები გადასცქერის გერმანიის პროლეტარიატს და მოუწოდებს მათ ჩვენთან შეერთებას და ფეოდალურ წესწყობილებიდან დასახსნელად. როგორც გამარჯვებული, ჩვენ გაბედულად და უშიშრად უნდა გადავძახოდეთ გერმანიის მუშებს: „წამოდით ჩვენი გზით და ერთად სოციალიზმისაკენ!“ უნდა დავუმტკიცოთ მათ, რომ ჩვენ მათთან ვართ არამც თუ მარტო სიტყვით, არამედ საქმით და სხვა იმიტყვით, რომ შეგნებული მუშა არ დაიზოგავს დღიურ ხელფასს და დაეხმარება გერმანიის მუშებს.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას გერმანიაში!

მუშკორი გ. მ—შვილი.

ამხ. ლენინის სახელობის 1-ლი ტყავეულობის ქარხანა

ამ ქარხანას აქვს განყოფილება—ფეხსაცმლების სამკერვალო ეს განყოფილება სახელოსნოა. ყოველ ჯურის საქონელი იკერება აქ და ფრიად მოზრდილი შენობაც აქვს მას. ეს შენობა შესამჩნევად იყო დაზიანებული. კედლები და ჭერი სულ გაშავებული იყო და ჭუჭყიანიც. სახურავი ხომ ძალზე იყო ჟანგისგან შეჭმული; ქესტი სახურავისა უწმლოდ იყო დატოვებული და რა თქმა უნდა ოფიცის ფურცელს სწრაფად შეჭამდა ჟანგი. ნახა რა ყოველივე ეს ადგილკომმა, შეადგინა მან კომისია. ტყავეულობის ქარხნების გამგის ამხანაგი ავეტიკოვის თანადასწრებით. კომისიამ გასინჯა ეს ზიანი და გადასწყვიტა, რითაც არ უნდა დამჯდარიყო შეეკეთებინა შენობა. ჩვენი კომისია ასეთაც მოიქცა, მშვენივრათ შეაკეთა სახელოსნოს შენობა. ჩვენმა მუშებმა ამ საქმეში მიიღეს მხურვალე მონაწილეობა და კიდევაც დააგვირგვინეს თავისი წადილი.

მუშკორი წოციანოვი.

მუშებს საჩუქარი არ სჭირიათ

(რკინის გზის პროფკავშირის საყურადღებოდ).

საქონლის სადგურში არის ორი საწყობი № 13 14 ამ საწყობებში იცლება ფქვილი. დამტვირთველ და გამომტვირთველად ტრამოტის მუშები არიან.

ამ მუშებში ერთი მუშა ნიკო ნიკოლაშვილია, რომლის მოვალეობაა აკეროს დახეული ფქვილის ტომრები, შრომის ხელფასი კი მას არსაიდან არ ეძლევა. ჩემ შეკითხვაზე, თუ რამდენი ჯამაგირი ეძლევა მას, ასე მიპასუხა: ეხ, ამხანაგო, ჯამაგირი რომ მქონდეს, რაღა მიჭირსო,—ცოლი და ოთხი შვილის პატრონი ვარ და იმას უცდი, თუ რას მაჩუქებს ის, ვინც ფქვილს წაიღებს. ეს არი ჩემი ბედიო.

აი სწორეთ მუშის დამცირება-შეურაცყოფა. საბჭოთა ხელისუფლების დროს გასამრჯელო საჩუქრის სახით დაუშვებელია.

საჭიროა ამას მიექცეს ყურადღება და ამხ. ნიკოლაიშვილს, როგორც ნამდვილ მუშას, მიეცეს განსაზღვრული შრომის ხელფასი.

მუშა გიორგი დანდუროვი.

ტფილისის „ცენტროტრამოტ“-ის გარაჟი.

(უმაღ. სამ. სახ. საბჭ-ს საყურადღებოდ).

აქ დასახელებულ გარაჟს, რომელიც ეკუთვნის უმაღლეს სამეურნეო სახ. საბჭოს, აქვს 40 დე ავტომობილი: 30 საგარაჟო და 10-მდე მსუბუქი („ლეგკოვოი“).

ტრამოტა, გარდა იმისა, რომ ამარაგებს საქონლის გადატან-გადმოტანის საქმეს და საერთოდ ტრანსპორტის საქმეს, ის ამავე დროს თავის ადგილობრივი სახელოსნოების საშუალებით შეკეთებას უშვრება თავის ავტომობილებს შემადგენლობიდან დაზიანებულ ავტომობილებს. ამჟამად შესაკეთებელია 10—15-ე ავტომობილი, ხოლო დაბრკოლება მდგომარეობს იმაში, რომ არ არის ადგილობრივ ტრამოტაში საჭირო მასალები, მისი შეკეთებისათვის. ასეთი კი ბევრი მოიპოვება ამავე უმაღ. სამ. სახ. საბჭ-ის ლითონის განყოფილებაში. უკანასკნელი „ტრამოტას“ სასყიდლის წინასწარ გაუღებლად არ აძლევს მისთვის საჭირო მასალებს. რით იქმნება ისეთი გარემოება, რომ ფინანსიური შეუძლებლობის გამო, ტრამოტა ვერ იძენს საჭირო მასალებს და მაშასადამე, ვერც ახერხებს თავის დაზიანებულ ავტომობილების შეკეთებას.

ვინაიდან, როგორც ცენტროტრამოტის გარაჟი, ისე ლითონის განყოფილება, შეიცავს უმაღ. სამ. სახ. საბჭოს კუთვნილებას, არ დაირღვევა ჩვენის აზრით უკანასკნელის წარმოებაში არავითარი წესრიგი და ეკონომია, თუ მისი ერთი განყოფილება, მაგალითად—ლითონის განყოფილება, მეორეს—„ცენტროტრამოტის“ გარაჟს მისცემს უფასოდ ან კრედიტად საჭირო საგნებს. ამით კი წინ წაიწევს უკანასკნელის წარმოების საქმე და მით გაუმჯობესებული იქნება ტრანსპორტის მუშაობაც. ეს კი სარგებლობას მოუტანს როგორც თვით წარმოებას, ისე მუშებს, რომელიც ხშირად გაუგებარ მდგომარეობაში ვარდებიან იმის გამო, რომ ამ ორ განყოფილებებს შორის ხდავენ არა ერთს სამეურნეო ბეგმა—ხაზს, არამედ რაღაც ხშირად უნდობლობას.

მუშკორი ჩხმელი.

იურიდიული დახმარება ამხ. მუშებს.

(მონათესავეთა სამსახურის და შეთავსების შესახებ).

კითხვა: აღკრძალულია თუ არა ერთსა და იმავე სახელმწიფო დაწესებულებაში, ან წარმოებაში, სამსახური იმ პირთა, რომელნიც ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან ნათესაობით ან „თვისებით?“

პასუხი: აუცილებლად აღკრძალულია, უკეთუ მათი ერთად სამსახური დაკავშირებულია ერთის ქვეძებარეობასთან მეორისადმი, ან და ერთი მათგანი იმყოფება მეორეს კონტროლის ქვეშ.

კითხვა: ვინ ითვლებიან აღნიშნულ შემთხვევაში ნათესავებად?

პასუხი: ნათესავებად ითვლებიან—მშობლები, ცოლ-ქმარი, ძმები, დები, ვაჟიშვილები, ქალიშვილები და აგრეთვე ძმები, დები, მშობლები და ბავშვები ცოლ-ქმრისა.

კითხვა: აქვს თუ არა გათვალისწინებული კანონმდებლობას რაიმე გამონაკლისი შემთხვევანი?

პასუხი: გამონაკლისი შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში და იმ პირთათვის, რომელთაც არჩევით უჭირავთ სახელმწიფო თანამდებობა, ან ისეთი, რომელიც კონტროლის ქვეშ არ იმყოფება.

კითხვა: აქვს თუ არა უფლება სახელმწიფო სამსახურში მყოფ პირს—პირადად, ან დამხმარე პირის მეშვეობით იყოს მონაწილე რაიმე კერძო და სამრეწველო საწარმოოში, აიღოს იჯარა, ან ნარდად სამუშაო საქმე, მიიღოს რაიმე ფორმით მონაწილეობა სამრეწველო—კომერციულ ხელშეკრულებაში პირად ინტერესებისათვის?

პასუხი: სახელმწიფო დაწესებულებათა და წარმოებათა ყველა მუშა-მოსამსახურეთათვის აღნიშნული ხასიათის იურიდიული ურთიერთობა სასტიკად აღკრძალულია.

(იხ. დეკრ. № 94 1923 წ. 27 სექტემ. ამიერ-კავ. სოც.-ფედ. რესპ. კომისართა საბჭოსი. მუხ. 2—8)

ხასიათისაა, მასში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თანამედროვე ამერიკულ „ტრიუკებსაც“.

თვით ფაქტი სამოქალაქო ომისა კარგათ არის გადმოცემული, მხოლოდ ალაგ-ალაგ სურათი სცილდება სინამდვილეს. მაგრამ ეს ჩვენთვის ასე თვალსაჩინო ხდება, ალბათ, იმიტომ, რომ ჩვენ გულთან ჯერ კიდევ ახლოა წარსული ბრძოლის სურათები.

შემსრულებლები ყველა თავის ადგილზე; განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობენ, რა თქმა უნდა, მთავარი როლების ამსრულებლები: პ. ესიკოვსკი, ცოზეფი, ტომ ჟაკსონი და სუტირინი.

ს ერთოდ სურათი მოფიქრებულათ არის დადგმული.

ერთი პატარა შენიშვნა:

ძალიან ბუნდოვანია წარწერები ლენტზე, რაც ხელს უშლის მაყურებელს გაიცნოს სურათის შინაარსს.

„წითელი ეშმაკები“ პირველი სურათია, რომლის შინაარსი აღებულია სამოქალაქო ომის ისტორიიდან.

ეს ომი იმდენად გრანდიოზული და მრავალფეროვანი იყო, რომ მის ფონზე შეიძლება ასეულ ლენტების გადაღება.

უნდა ვიფიქროთ, რომ კინო-სექცია განაგრძობს დაწყებულ საქმეს და საშუალებას მისცემს მშრომელი ხალხის ფართო მასებს იხილოს ტილოზე იმ ბრძოლის საშინელი და იმავე დროს გმირული სურათები, რომელმაც აუცილებელი შექმნა მუშათა და გლეხთა ხელისუფლების დამყარებისათვის.

შ. ბ.

— **რუსული დრამა** სახალხო სახლთან არსებულ რუსული სახელმწიფო დრამის მთავარ რეჟისორად მოწვეულია კ. მარჯანიშვილი.

— **საბავშვო თეატრის რეპერტუარის დამზადება.** სოც. აღზრდის მთავარ მმართველობასთან არსებულმა სამხატვრო სალიტერატურო სექციამ უკვე დაამზადა საბავშვო თეატრის რეპერტუარი ბავშვების ყოფაცხოვრებიდან.

— **საბავშვო თეატრის მუშაობის გეგმა.** სოც. აღზრდის მთავარ-მმართველობის სახ.-სალიტერატურო სექციას განზრახული აქვს საბავშვო წარმოდგენების სეზონი დაიწყოს 1 ნოემბერს. წარმოდგენები სისტემატიურათ გაიმართება ქალაქის ყველა უბანში ქართულ-რუსულ სომხურ და თათრულ ენებზე.

პროვინციაში

ქ. ხაშური

ხაშურის ქალაქის მცხოვრებთა თვალსაჩინო კულტურულ დაწესებულებას წარმოადგენს თუმცა ღარიბი, მაგრამ მაინც პატივსაცემი ქალაქის სამკითხველო.

აღსანიშნავია აქ ის, რომ სამკითხველო თითქმის უყურადღებოთ არის მიტოვებული. შიგ ნახავთ რამოდენიმე წიგნს და ორ თუ სამ ეგზემპლიარ გაზეთს, რაიც არც იმდენათ აკმაყოფილებს მკითხველს.

გარდა ამისა, სამკითხველოს აქვს უფორო მთავარი და არა საპატიო ნაკლი. ყავარი აყრილია და შიგ ბლომათ ჩამოდის წყალი, რითაც ივსება იატაკი. გაზეთის კითხვა შეუძლებელი ხდება წვიმიან ამინდში.

სამკითხველოს გამგე ქალს ორჯერ მიუცია განცხადება „პოლიტ-პროსვეტში“, სამკითხველოს შესაკეთებლათ, მაგრამ იგი მაინც უყურადღებოთ არის მიტოვებული.

მე მივაქცევ ყურადღებას ვისაც ჯერ არს, რათა მოწესრიგებულ იქნას სამკითხველოს მდგომარეობა.

ევგენი.

ქ. ზესტაფონი

9 ოქტომბერს შედგა შორაპნის უეზდის და ქ. ზესტაფონის მილიციის თანამშრომელთა კრება. თავმჯდომარემ, ამხ. მ. ზაოქ-ძემ გააცნო კრებას გერმანიის ამბები და მოუწოდა დახმარება აღმოეჩინათ გერმანიის მებრძოლ პროლეტარიატისათვის. კრებამ ერთხმად დაადგინა—გაიღონ ამისათვის ერთი დღის ხელფასი. კრება უსურვებს გერმანიის პროლეტარიატს გამარჯვებას და მზად არის საჭიროების დროს აღმოუჩინოს მას აქტიური დახმარება.

ადგილობრივი.

ონტოფოს თემი (სენაკის მაზრა)

1921 წ. 7 ნოემბერს, ე. ი. ოქტომბრის რევოლუციის დღესასწაულის დღეს ონტოფოს მშრომელმა ხალხმა კომპარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის ინიციატივით დიდის ზეიმით გახსნა საბავშვო ბაღი, რომელიც ჩამორთმეული იქნა ადგილობრივ მცხოვრებისაგან. საზოგადოებას ეგონა, რომ აქ რამეს დარგავდენ და ბაღს მოაწყობდენ, მაგრამ საუბედუროდ, იმედები არ გამართლდა; მას შემდეგ გავიდა ორი წელიწადი და ბაღი ისევ უპატრონოდ არის. მით სარგებლობს აგერ ორი წელიწადია ორი-სამი კაცი, რაც ხალხში იწვევს სამართლიან უკმაყოფილებას. საჭიროა ონტოფოს თემის საბჭომ ამას ყურადღება მიაქციოს აწი მაინც. უნდა გააშენონ ბაღი, დარგან შიგ საჭირო ხეები. შეიძლება თქვან, სადაა თანხაო?

მე კი ვიტყვი, რომ ონტოფოს თემს ამისათვის არ გაუჭირდება თანხის გაღება, რომლითაც უნდა იქნას შეძენილი საჭირო ხეები. საჭიროა ალმასკომმა გამოიჩინოს ინიციატივა, რათა განზრახვა და დაპირება დროზე განხორციელდეს.

ჩვენ თემში არსებობს აფთიაქი, მაგრამ არ არსებობს საექიმო პუნქტი. საჭიროა ამას ყურადღება მიაქციოს სენაკის სამაზრო ჯანმრთელობის განყოფილებამ და დაარსოს ონტოფოში საექიმო პუნქტი.

გრ. ნადარეიშვილი.

ხოფ. გურჯაანი (სიღნაღის მაზრა)

დიდი ხანია რაც სოფელ გურჯაანში ოცნებობდნენ სასკოლოს მოწყობაზე მაგრამ ოცნება ოცნებად რჩებოდა. უკანასკნელ ხანებში ამ საქმის მოწესრიგება იკისრა გურჯაანის თემის თავჯ. ამხ. ალექსი მირიანაშვილმა. მიმდინარე 20 ოქტომბერს კიდეც დამთავრდა სასკოლოს აშენება სოფ. გურჯაანში.

1923 წ. აქ სექტემბრის თვიდან მოეწყო გურჯ. თემის საურთიერთო გლეხთა დამხ. კომიტეტი, რომელსაც აღრიცხვაზედ აყვანილი ჰყავს ქვრივობლები და ის ღატაკი გლეხნი, რომლებსაც არავითარი სალსარი არ ჰქონდათ არსებობისა. გურჯაანის თემის გლეხთა დამხმარე კომიტეტის წევრებმა მოაწყვეს სასტუმრო, ამ მოკლე ხანში მიზნათ აქვთ დასახული მოაწყონ საბავშვო სახლი; ღებულობენ ყოველგვარ ზომებს გააძლიერონ ადგილობრივ ფონდი. საერთოდ კომიტეტი დიდ მუშაობას ეწევა.

ხ—ნავა.

„პასუხის“ პასუხად გრიგოლ რობაქიძეს

ჩემს საპასუხოთ თქვენ ჰქმნით ისეთს შთაბეჭდილებას, თითქოს მე მეთქვას, რომ ნ. რადლოვი ექსპრესიონისტი და ექსპრესიონიზმის სპეციალური მკვლევარი იყოს. **არც თქვენს მოხსენებაზე და არც თქვენდამი მიმართულ „ღია წერილში“ მე ეს არ მითქვამს. ამას მე ვფიქრობ, თქვენც დამიმოწმებთ.** ამის თქმა არც საჭირო იყო. მე განვაცხადე მხოლოდ: „დებულებას: ექსპრესიონიზმი ხელოვნების საკითხების სწყვეტს, როგორც ფსიქოლოგიურ პრობლემას“—იზიარებს ექსპრესიონიზმის ერთ-ერთი ინტერპრეტატორი - მეთქი. თქვენ მოხსენებაზედაც იცოდით, რომ მე მაშინ არ ვლაპარაკობდი **ექსპრესიონისტ ინტერპრეტატორზე, არამედ საზოგადოთ ინტერპრეტატორზე, გარეშე ამ უკანასკნელის სიმპატია-ანტიპატიისა ექსპრესიონიზმისადმი.** და როდესაც ჩემი მსჯელობის მოწმეთ მოვიყვანე ასეთი ინტერპრეტატორი, თქვენ სწორედ მაშინ განაცხადეთ: **არც ერთ მწერალს, ვისაც არ უნდა იყვეს ის, არ უთქვამს... და სხ.** და სხ. მართალია და ექსპრესიონიზმის ინტერპრეტატორობა სრულიადაც არ მოითხოვს ექსპრესიონისტობას; ეს ისეთი ანბანური ჭეშმარიტებაა, რომლის ისტორიული ანალოგიებით დასაბუთება ნიშნავს ღია კარებზე რაკუნს.

რაც შეეხება თქვენ მიერ ნ. რადლოვის მსოფლიო მასშტაბით ცნობილობის ბრჭყალებში ჩასმას, აქაც თქვენ აუცილებლად შეცდომას სჩადიხართ. ნ. რადლოვი არის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურა თეატრალური რუსეთის; და მას სწორედ მსოფლიოში **ახეთად** იცნობენ: შესაძლებელია ნ. რადლოვი, როგორც თეატრალური მოღვაწე, არ წარმოადგენდეს მსოფლიო მასშტაბით **ღირებულებას,** მაგრამ ეს იმას სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ის არ იყოს მსოფლიო მასშტაბით ცნობილი, **როგორც რუსეთის განთქმული ხელოვანი.**

მაგრამ ეს გაკვრით.

თქვენ სწერთ, რომ ნ. რადლოვის დებულებაში: „**экспрессионизм рассматривает вопросы искусства, как философскую и психологическую проблему**“—სრულიადაც არ არის ნათქვამი ის, რაც მე ვსთქვი, სახელდობრ: ექსპრესიონიზმი სწყვეტს ხელოვნების საკითხებს, როგორც ფსიქოლოგიურ პრობლემას. აქ არის განსხვავება, მაგრამ არა არსებითი. **ნ. რადლოვი არ უარყოფს ფსიქოლოგიზმის მომენტს ექსპრესიონიზმის მიერ ხელოვნების საკითხის გადაწყვეტაში,** მაგრამ ამ მომენტს ის უთანაბრებს ფილოსოფიურს მომენტს. თქვენ ამ უკანასკნელი გარემოების გამო დეკლარაციულად აცხადებთ: „ფილოსოფიურის“ თანდართვით ფორმულას სხვა ხასიათი ეძლევაო. აქ საჭირო იყო არა დეკლარაციული განცხადება, არამედ დამტკიცება; **პირველად:** ეძლევა თუ არა „ფილოსოფიურის“ თანდართვით „ფსიქოლოგიურთან“ ჩემს ფორმულას **პრინციპიალურად** სხვა ხასიათი; **მეორეთ:** როგორ აქვს გაგებული ნ. რადლოვს ეს „დახათი“ და ეწინააღმდეგება თუ არა ეს ჩემს დებულებას: „**ექსპრესიონიზმი მსოფლიო გზნებაა**“ (мироощущение), რადგანაც ამ უკანასკნელიდან მე **გამოვიყვანე ფორმულა:** „ექსპრესიონიზმი სწყვეტს ხელოვნების საკითხებს, როგორც ფსიქოლოგიურ პრობლემას“.

რაც შეეხება „მესამე მხარისადმი“ აპელიაციას „ფაქტის“ აღსადგენათ—მე ამის წინააღმდეგი არა ვარ, თუ კი ამას მოითხოვს საქმე. მაგრამ მას შემდეგ, რაც თქვენ პირად საუბარში გამიცხადეთ, რომ მე თქვენდამი „ღია წერილ“-ში **სწორად მომყავს, როგორც თქვენი სიტყვა, ისე ჩემიც**—მესამე პირისადმი აპელიაციას ეკარგება ყოველგვარი აზრი, რადგანაც აქ რჩება მხოლოდ რადლოვის **სიტყვის გაგება** და მისი შესაძლებელი დაპირდაპირება ჩემს ფორმულასთან. ეს არის არა ფაქტის აღდგენის საკითხი (რადგანაც ფაქტი უკვე აღდგენილია) არამედ საგანი პრინციპიალური დავის, რომელსაც მე არ გავექცევი, თუ თქვენ ამას მოისურვებთ. და ბოლოს, ანალოგიურად თქვენი პასუხი ნიშნავს: მე რომ ვამტკიცებდე რიცხვი „ორი“ „ხუთის“ ნაწილია და თქვენ კი ამბობდეთ: ეს ფორმულა არ არის მართალი, რადგანაც „ხუთის“ ნაწილია არა მარტო „ორი“, არამედ plus „სამიც“, ეს მათემატიკური ანალოგია ნათელს ჰფენს თქვენს ჩემდამი პასუხს „ფაქტის აღდგენის“ საქმეში.

შ. დუდუჩავა.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

სავალდებულო დადგენილება

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა.

22 ოქტომბერი 1923 წ.

საკვამლე მილების გაწმენდისა და ღუმელების დადგმის წესის შესახებ.

ხანძრის გაჩენის შემთხვევების თავიდან ასაცილებლად და მის წინააღმდეგ გაფრთხილებითი ზომების მისაღებათ ს. ს. ს. რ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. სახლის მეპატრონეებს, კომენდანტებს და გამგეებს ევალებათ თვალყური ადევნონ საკვამლეების თავის დროზე გაწმენდასა და აგრეთვე ღუმელების და საკვამლე მილების წესიერად ჩადგმას.

2. ღუმელებში და საკვამლეებში არ უნდა იყოს დაზიანებული და ჩამონგრეული ადგილები და უნდა სწარმოებდეს მათი პერიოდული გაწმენდა შემდეგი წესით:

ა) სადაც ცეცხლი ინთება ყოველდღე, მაგალითად: რესტორანებში, სასადილოებში, ფურნეებში, აბანოებში და თორნეებში—თვეში ერთხელ; ბ) კერძო ოჯახთა სამზარეულოებში—სამ თვეში ერთხელ და გ) კერძო ოჯახებში, სადაც ცეცხლი ინთება სახლის გათბობის მიზნით წელიწადში ორჯერ: ერთხელ ცეცხლის ანთების დაწყებისას ე. ი. დაახლოვებით შემოდგომის ბოლოს, ხოლო მეორეჯერ შუა ზამთარში.

შენიშვნა: ა) საკვამლე მილი ჭერიდან დაწყებული სახურავამდე უნდა იქვეს შელესილი თეთრად, რათა ადვილი იქნეს საკვამლე მილის დაზიანებული ადგილების შემჩნევა

შენიშვნა: ბ) სახლის მეპატრონე, კომენდანტი ან გამგე ვალდებულია იქონიოს ხელწერილი მილების მწმენდელისაგან მისი მისამართის აღნიშვნით, რომელშიაც აღნიშნული უნდა იყოს საკვამლეების გაწმენდის დრო.

3. მწმენდელები პასუხისმგებელნი არიან საკვამლეების ცუდათ გაწმენდისათვის ამ სავალდებულო დადგენილების თანახმად (§ 6).

4. თუნუქის ან თუჯის ღუმელის დადგმისა და გადატანის დროს დაცული უნდა იყოს შემდეგი წესი:

ა) ღუმელი უნდა დაიდგას კედლიდან დაშორებით არა უმცირეს 1 ნახ. არშ., ხოლო როცა კედელი ქვის არის, ან შელესილია და აქვს გაკრული თუნუქის და ასბესტის ფურცელი, მაშინ ღუმელის მოთავსება შეიძლება კედლიდან სამ მეოთხედ არშ. დაშორებით, ბ) ღუმელი დადგმული უნდა იქვეს თუნუქის ფურცელზე, რომლის ნაპირები ერთი მეოთხედი არშ. გადამეტებული უნდა იყოს ღუმელის გვერდების, მხოლოდ ცეცხლის სანთების მხრივ გადაშორებული ნაწილი უნდა უდრიდეს ნახევარ არშ. გ) თუნუქის მილი ხის ნაწილებში გაყვანის დროს დაშორებული უნდა იქვეს ამ ნაწილებიდან აგურის ნაწილით დ) თუნუქის მილის ბოლო შეიძლება გაყვანილ იქვეს მუდმივ საკვამლეში, ფანჯარების სარკმელში და აგრეთვე კედლებში, საგანგებო გაჭრილ ხვრელში, ხოლო მილის ბოლო დაშორებული უნდა იქვეს 1 არშ. სიგრძეზე ხის კედლიდან, საიდანაც ის არის გაყვანილი; სასტიკად აკრძალულია თუნუქის მილის გაშვება სანიავე (სავენტილიაციო) ხვრეტში.

5. აკრძალულია სახლის თავანზე სხვადასხვა ნივთების შენახვა მაგ., ძველი დგამის, შეშის, ნავთის და ნახშირისა.

6. ამ სავალდებულო დადგენილების დამრღვევი დაისჯება დატუსაღებით ორ კვირამდე ან ჯარიმით 5 ბაჟაღლამდე.

7. ეს სავალდებულო დადგენილება ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა და მოქმედობს ერთი წლის განმავლობაში.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ტალახაძე.

საქმეთა მმართველი თახიშვილი.

კომუნ. განყ. გამგე ნანეიშვილი.

ხანძრის დაცვის ინსპექტორი ბერიძე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— **საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-2-ე რაიკომი** იტყობინება, რომ შემდეგმა ამხანაგებმა რაიკომში შეიტანეს განცხადება კომუნისტურ პარტიის რიგებში შესვლის შესახებ.

რაიკომი სთხოვს ყველა იმ ამხანაგებსა და პირებს, რომელთაც აქვთ რაიმე მამხილებელი საბუთები აღნიშნულ ამხანაგების წინააღმდეგ, წარადგინონ რაიკომში (მიხეილის პრ., 96) ა. წ. 31 ოქტომბრამდი მასალები ამის შესახებ.

1) პარონიკიანი კარაპეტ, თამბაქოს ქარხანა „პროლეტარი“-ს მუშა, 2) ბზუაშვილი ვასილი, თამბაქოს ქარხანა „პროლეტარი“-ს მუშა 3) აგოიანი არტემ, საფაროვის თამბაქოს ქარხნის მუშა. 4) ახუნდოვი იზმაილ, ტრამვაის მუშა 5) ადელხანოვა ანაიდა, ინტელიგენტი ქალი, 6) დოშოიანი ვართან, თამბაქოს ქარხანა „პროლეტარი“-ს მუშა. 7) ტუღუცკინი პავლე, ტრამვაის მუშა. 8) დონიევი გიორგი—მუშა. 9) პარსადაევი—ტრამვაის მუშა. 10) ტურაზაშვილი ივანე—მუშა: 11) ხელაია სამსონ—პირველ საბჭოთა ქარხნის მუშა. 13) მაზლავერი ლაზარე—ინტელიგენტი—დამზღვევი კასა. 13) შირიაძე არშაკ - ცენტროსოიუზის მუშა 14) გუდელაძე—ტრამოტის მუშა. 15) ტოლონიძე ივანე—არსენალის მუშა. 16) ხოდარევი მიფოდი—მეირე ელექტრონის სადგურის მუშა. 17) ლ-ზუტინი ვასილი—არსენალის მუშა.

მდივნის მაგიერ ნაზაროვი.

— საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს გამოცხადდნენ ორი დღის ვადაში შემდეგი ამხანაგები: 1. ნიკოლოზ ატაევი, 2. ანდრო ბუაჩიძე, 3. რუბენ, 4. ყურულაშვილი გიორგი, 5 კუხალეიშვილი სოხუმი, 6. კაკაბაძე იოსეფი, 7. თამარა ადამიძე, 8. იოიესიანი, 9. პენიაკოვი, 10. პავლე საყვარელიძე, ზ. ტრაპაიძე და შალვა ჯინგალაშვილი.

ცეკას მდივანი ქართველიშვილი.

ცეკას აღრიცხვის გამგე ლიცინოვი.

ს. კ. პ. ტფ. ორგანიზაციის 2 რაიონის კომიტეტი

იუწყება, რომ შაბათს, ა. წ. 27 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე სარაიონო კომიტეტის ბინაზე შესდგება გაფართოებული პლენუმი მე-2 რაიონის უჯრედების მდივნების მონაწილეობით.

დღის წესრიგი:

1. პოლიტიკურ გამოცდის შედეგები და საპროპაგანდო მუშაობის პერსპექტივები. 2. ოქტომბრის დღესასწაულის შესახებ. 3. მიმდინარე საქმეები.

მდივნის მაგიერ ნაზაროვი

— მე-2 ე რაიონული კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა იმ ამხანაგებს, რომლებიც სწავლობენ სახელმწიფო უნივერსიტეტის მუშათა ფაკულტეტში, და ირიცხებიან წევრებად ა. კ. კ. სხვა რაიონებში დაუყოვნებლივ გადმოვიდნენ მე-2 ე რაიონში, თავიანთი პირადი საქმეებით.

მე-2-ე რაიკომის პასუხისმგებელი მდივანი გვანცელაძე.

განათლების მუშაკთა სახლში.

დღეს, 26 ოქტომბერს სად. 7 ნახ საათზე ქართულ სომხურ და მუსულმან სკოლებში რუსულ ენის სწავლების წრის სხდომა.

დღეს, 3 ნოემბერს სად. 7 საათზე რუსულ ჯ. სექციის საბიბლიოგრაფიო წრის სხდომა.

გ. მ. სახლის გამგე—შიუკაშვილი.

პროფესიული

განათლების მუშაკთა სახლში

დღეს, 26 ოქტომბერს, სად. 5 საათ შესდგება სკოლასთან არსებულ ქართულ ბაღების ხელმძღვანელების კრება.

ხვალ, 27 ოქტომბერს, სად. 5 საათ.—მოხსენება პროფ. თვალჭრელიძის—თემა: ქალ. ტფილისის მიდამოების მინეროლოგია. მოხსენების შემდეგ გაიმართება პრაქტიკული მეცადინეობა

უკანასკნელ ექსკურსიიდან მოტანილ მინერალების გამოსარკვევად.

შაბათს, 27 ოქტომბერს, სად. 7 საათზე მოხსენება ექიმ გალიცკას—თემა: არტოპედიური ვარჯიშობითი სუნთქვა დემონსტრაციებით. რაიადგილკომებს წინადადება ეძლევათ ფართოდ აცნობონ ფიზიკულტურის ხელმძღვანელებს.

ორშაბათს, 29 ოქტომბერს, სად. 7 საათზე ფიზიკო-მათემატიკურ ქვესექციაში მოხსენება ფლორინსკის—თემა: მათემატიკა ოთხ წლედში.

მოხსენების შემდეგ შვიდ და რვა წლედების საპროგრამო კომისიის არჩევნები.

განცხადებები

ღრმად დამწუხრებული და გულდაწყვეტილნი აფიონ ლუკას ძე, ლუკა პეტრეს ძე და ეკატერინე ჭირაქაძეები; იერემია ამილახვარი ცოლითურთ, ლეონტი ბეჟანიძე ცოლშვილით და პარმენ სვანაძე ცოლშვილით აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ კვირას, 21 ოქტომბერს, მოულოდნელათ გარდაიცვალა პირველის მეუღლე და დანარჩენების რძალი

ნინა (ტატუნა) ზაქარიას ასული მჭედლიძე-ჭირაქაძისა

გამოსვენება მიხეილის სავადმყოფოდან სადგურზე ხუთშაბათს, 25 ოქტომბერს, ნაშუადღევის 4 საათზე. დასაფლავება ქ. ქუთაისში კვირას, 28 ოქტომბერს.

74 3—3

ს. ს. რ. კ.

სრულიად-რუსეთის სააქციონერო საზოგადოება

„შერსტ“-ი

ამიერ-კავკასიის კონტორა

ტფილისი „თავისუფლების“ მოედანი, უოფ. თამამშევის ქარვასლა მეორე სართული, დარბაზ № 1960, ტელეფონი № 18—88.

სატელეგრაფო მისამართი: ტფილისი „შერსტ“-ი.

სრულიად რუსეთის ამხანაგობა „შერსტ“-ი 1 სექტემბრიდან გადაკეთებულია სააქციონერო საზოგადოებათ „შერსტ“.

ამიერ-კავკასიის კონტორა ყიდულობს მატყლს როგორც ნაღდი ანგარიშით, ისე მანუფაქტურაზე გადაცვლის გზით. კრ. 707 1—1.

7 ნოემბერს გამოვა 1-ლი №-რი სალიტერატურო სამხატვრო საილუსტრაციო

ორ-კვირეული ჟურნალი

დროშა

ჟურნალში იქნება შემდეგი განყოფილებანი:

1. ბელეტრისტიკა.
2. პოეზია.
3. თეატრი.
4. მუსიკა.
5. მხატვრობა.
6. ქანდაკება.
7. კრიტიკა.
8. ბიბლიოგრაფია.
9. მეცნიერება და ტეხნიკა.
10. კინო.
11. სპორტი.
12. მატიანე.
13. იუმორი.
14. ნარევი.

ილიუსტრაციები საქართველოს და უცხოეთის ცხოვრებიდან. ჟურნალში მონაწილეობენ: მეცნიერები და საზოგადო მოღვაწენი. საკუთარი კორესპონდენტები: მოსკოვში, პეტროგრადში, ხარკოვში, თეირანში, ბერლინში, პარიზში, რომში, ლონდონში, საქართველოს და კავკასიის ყველა ქვეყნებში.

ჟურნალში იქნება 80 გვერდი.

მიიღება ხელის მოწერა და განცხადებანი.

პასუხისმგებელი რედაქტორი: მიხ. კახიანი.

რედაქტორი. სარედაქციო კოლეგია

გამომცემელი: საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობა.

მისამართი რედაქციის და კონტორის რუსთაველის პრ. № 22.

კრ. 710 2—1

ამიერ-კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატი ამით აუწყებს ყველა პირებს და დაწესებულებებს, რომ

1923 წლის 24 ოქტომბრიდან საფოსტო სატელეგრაფო და რადიო-ტელეგრაფის კორესპონდენციაზე და ტელეფონით სარგებლობისათვის შემოღებულია

ახალი ნიხრი

ჩერვონცების ანგარიშით

ახალი ნიხრის შემოღების გამო ხმარებაში შემოღებული იქნება ამიერ-კავკასიის ახალი საფოსტო ნიშნები ჩერვონცების ანგარიშით: 1, 2, 3, 4, 9 და 18 კაპიკის ღირებულების.

ამიერ-კავკასიის ძველი საფოსტო ნიშნები რჩება ხმარებაში დღის კურსის მიხედვით ჩერვონეცის ანგარიშით გამოშვებულ მარკებთან ერთად 1 პირველ დეკემბრამდი, რის შემდეგ გაუქმებულათ ჩაითვლება.

ფოსტა-ტელეგრაფის სახკომის მოადგილე **გეგეჭკორი.**

707—1—1 ფინანსიურ-ეკონომიური განყოფილების გამგე **იოანნისიანი.**

საჯარო ვაჭრობა

ამიერ-კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატი

იწვევს ა/წ. 30 ოქტომბერს, დღის 12 საათზე

წერილობითი საჯარო ვაჭრობაში

მონაწილეობის მიღების მსურველთა

ქ. ტფილისის ფოსტა ტელეგრაფის დაწესებულებებისათვის 100—150 საჟ. მაგარი ხარისხის შეშის მიწოდებისათ.

განცხადებები, საგერბო გადასახადის გადახდით დახურულ კონვერტებში წარწერით „შეშის მისაწოდებლათ საჯარო ვაჭრობისათვის“, წარდგენილი უნდა იქნეს ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის ფინანსიურ-ეკონომიურ განყოფილებაში (რუსთაველის პრ. № 43) სადაც ყოველ დღე 12-დან 1-ლ საათამდი შეიძლება შეშის მიწოდების ყველა პირობის გაგება.

საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად შეჯიბრების მონაწილეთ შემოაქვთ 10 ჩერვონეცი, რომელიც რჩება კომისარიატს იმ შემთხვევაში, თუ განცხადების შემომტანნი უარს იტყვიან პირობის ხელის მოწერაზე.

ვაჭრის გაცემის დროს ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატი ხელმძღვანელობს არა მარტო წარმოდგენილი ფასებით, არამედ სხვა მოსაზრებებითაც კომისარიატის ინტერესების მიხედვით.

ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარის მოადგილე **გეგეჭკორი**

709—1—1 ფინანსიურ-ეკონომიური განყოფ. გამგე **იოანნისიანი.**

სენაკ-აბაშის სახალხო სასამართლოების აღმასრულებელი

ლ. კიზირია, ამით აცხადებს, რომ სოფ. საჭილაოში, სენაკის მაზრისა 27 ნოემბერს 1923 წელს დილის 10 საათზე მოხდება

საჯარო ვაჭრობით

გაყიდვა მოძრავი ქონებისა, რომელიც შესდგება სახარხნო და საცხოვრებელ შენობებისაგან, სახერხ ქარხნის მანქანებისა და მათი ნაწილებისაგან, ელექტრო დინამო მანქანებისაგან და განათების მოწყობილობებისაგან, სახერხ დაზგა მანქანებისაგან, სახელოსნო ხელსაწყო ავეჯეულობისაგან, სახლების მოწყობილობებისაგან და სხ., რომელიც ეკუთვნის ამხ. ლ. და ა. სპროიავკას ფირმას, ხის მუშავეთა პროფესიონალურ კავშირის ცენტრალურ გამგეობის ვალის დასაკმაყოფილებლად, რაც უდრის 36.597.64 ბაჟაღლის მან. 3 პროც. საურავით დღემდე 3.581.71 ბაჟაღლის მანეთზე 1 ივლისიდან 1923 წ. ვალის გადახდის დღემდის და საქმის საწარმოებელი 2407,35 ბაჟაღლის მან. აწერილი ქონება დაგირავებული აქვს გირავნობით 5 ოქტომბრიდან 1922 წ. ამიერკავკასიის რკინისგზათა სამმართველოს 7.912 მან. ოქროთი, რომელ თანხაშიდაც აღებს ყადაღა აწერილ ქონებას, გასაყიდი ქონება შეფასებულია 70.000 მანეთი ოქროთი ანუ 115.000 ბაჟაღლის მანეთად. ქონების აწერილობა და შეფასება მსურველს შეუძლია დაათვალიეროს ყოველდღე გარდა უქმისა და საჯარო ვაჭრობის მოხდენის დღეს. 18 ოქტომბერს 1923 წელს.

სენაკ-აბაშის სასამართლოს აღმასრულებელი **კიზირია.**

77 2—1

საბავშვო საკონსულტაციო-სამკურნალო კაბინეტი ექიმი ქალის

გ. დ. ხანციხის

მედიცინის ექიმის **ვ. ვ. შენგელიძის**

მუდ. კონსულტაციით. მიღება ყოველდღე (გარდა კვირისა) 2-დან-4 საათამდე. ძუძუმწოვარ ბავშვებისათვის კონსულტაცია—ოთხშაბათობით და შაბათობით. კრუზენშტეინის ქუჩა № 1. (რუსთაველის პრ. კუთხე) ტელ. № 18—14.

(46—25—9)

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

საწოლებით [illegible]

მიხეილ გედევანიშვილის [illegible]

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკური მკურნალობას ექიმობას საჭიროებენ.

სამკურნალო სწარმოებს **პრ. სვიმონ ყიფშიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, გორდანოვის ქ. № 20.

(1252—25—18)

სამკურნალო კაბინეტი

ექიმი ვ. ვ. მეგრაბიანცისა

რენტგენის ელექტრო-სხივებით და სინათლით ექიმობა

ყოველ დღე 9—1 ს. და 6—8 ს. სად. ბებუთოვის ქუჩა № 23

78 25—1

დაკარგა მოწმობა მოცემული შორაპნის სამაზრო კომისარიატის მიერ № 3946-ით ლევან მიხეილის ძე ლინიის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1

თუ გსურთ ენერგიული მშრომელი გარკვეული კალიგრაფიული ხელით, სპეციალური მცოდნე ქართულის, რუსულის, სომხურის, თურქულის, მდივნად, მთარგმნელად, საქმის მწარმოებლად, რეგისტრატორად, კარეკტორად ან რომელიმე დაბალ თანამდებობაზე რამე ადგილის მომუშავეთ—გთხოვთ თანაგრძნობა აღმოუჩინოთ. შტატ გარეშე დარჩენილი ახ. ალავერდოვი. ელისაბედის ქუჩა, № 9 ოთახი № 6. 1—1

დაკარგა დროებითი მოწმობა მოცემული სენაკის სამხედრო კომისარიატის მიერ 1923 წ. დავით ნიკოლოზის ძე აფხაზავას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 80 1—1

დაკარგა პირადობის მოწმობა № 4753 კლარა უშერის ასული ტატარინოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. (79 1—1)

„ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა კრუზენშტეინის ქ. № 4.